



## სალომე ცომაია

ბიოპროდუქტების წარმოების განვითარების მნიშვნელობა და პერსპექტივები

წარმოდგენილია ბიზნეს-ადმინისტრირების (ფინანსები) მაგისტრის აკადემიური  
ხარისხის მოსაპოვებლად

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

თბილისი, 0178, საქართველო

ივლისი 2019

საავტორო უფლება 2019 სალომე ცომაია

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ბიზნეს-ადმინისტრირების (ფინანსები) ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერი ვადასტურებთ, რომ გავეცანით სალომე ცომაიას მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით: „ბიოპროდუქტების წარმოების განვითარების მნიშვნელობა და პერსპექტივები“

და ვაძლევთ რეკომენდაციას აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ბიზნეს-ადმინისტრირების (ფინანსები) ფაკულტეტის საგამოცდო კომისიაში მის განხილვას სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

თარიღი 28/06/2019

ხელმძღვანელი: ავთანდილ გაგნიძე



აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

2019 წელი

ავტორი: სალომე ცომაია

დასახელება: ბიოპროდუქტების წარმოების განვითარების მნიშვნელობა და პერსპექტივები

ფაკულტეტი: ბიზნეს-ადმინისტრირება(ფინანსები)

ხარისხი: ბიზნეს-ადმინისტრირების (ფინანსები) მაგისტრი

სხდომა ჩატარდა:

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემომოყვანილი დასახელების ნაშრომის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს.

სალომე ცომაია

---

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცული მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა ის მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში,

როგორც ეს მიღებულია აკადემიური ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

## რეზიუმე

დღეს მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობის პრიორიტეტია ორგანული ბიომეურნეობის განვითარება, რათა დაინერგოს ეკოლოგიურად სუფთა ბიოპროდუქციის წარმოება. ბიომეურნეობაში არ გამოიყენება ქიმიური პრეპარატები, სასუქები და სხვა მსგავსი ნივთიერებები ან მეთოდები, რომლებიც უარყოფითად აისახება გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე. სოფლის მეურნეობაში კვების პროდუქტების მრეწველობის დღევანდელი მდგომარეობა გვიჩვენებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ტრადიციული სისტემის ალტერნატიური გზის მოძებნის აუცილებლობას. მომხმარებელთა მოთხოვნების საფუძველზე ევროპაში სულ უფრო იზრდება ორგანული საკვების წარმოება.

მსოფლიოში მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით, უმნიშვნელოვანესი გახდა ბიოპროდუქტების გადამუშავება, მარკეტინგი და ბიოფერმერთა კოოპერირების საკითხებიც. საქართველოში ორგანული მეურნეობის განვითარება ერთგვარ ფუფუნებად შეიძლება მოგვეჩვენოს, მისი ეკონომიკური მდგომარეობის გამო, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ბიომეურნეობაზე გადასვლა არამარტო ჯანსაღი გარემოსა და ჯანსაღი საკვების საწინდარია, არამედ მას მზარდი ეკონომიკური პოტენციალიც გააჩნია, ცხადია, საინტერესო და ძალიან მნიშვნელოვანია ამ სფეროში უცხო ქვეყნების

გამოცდილების გაცნობა და გაზიარება. უამრავმა ქვეყანამ, სწორად განხორციელებული სახელმწიფო პოლიტიკის შედეგად, მნიშვნელოვნად გაზარდეს და განავითარეს ბიოპროდუქციის წარმოება.

საქართველო არის ქვეყანა, რომელსაც აქვს რესურსი და დიდი პერსპექტივა აქვს იყოს ბიოპროდუქტების სერიოზული მწარმოებელი და კონკურენცია გაუწიოს სხვა, ევროკავშირის ექსპორტიორ ქვეყნებს.

ბევრმა ქვეყანამ, სწორად განხორციელებული სახელმწიფო პოლიტიკის შედეგად, მნიშვნელოვნად განავითარეს ბიოპროდუქციის წარმოება, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, საქართველოში ბიომეურნეობების სისტემური განვითარების კუთხით სახელმწიფოს მხრიდან ბევრი არ გაკეთებულა, შეიქმნა კანონი “ბიოლოგიური აგროწარმოების შესახებ”, დარეგულირდა ბიოპროდუქციის წარმოებასთან დაკავშირებული პროცესები. რაც შეეხება დარგის განვითარების ხელშეწყობას, სახელმწიფოს როლი მინიმალურია თუმცა, დაწყება არასოდეს არის გვიანი და სახელმწიფომ ახლა მაინც უნდა ჩამოაყალიბოს და გაათვითცნობიეროს რამდენად პრიორიტეტულია ქვეყნისთვის ბიომეურნეობების განვითარება და იმოქმედოს შესაბამისად.

ბიო პროდუქტებით ვაჭრობის განხორციელება არ იწყება ფერმერების მიერ ორგანული საკვების წარმოებით, ან საქართველოს მთავრობის მიერ, ბიო პროდუქტების წარმოების მოთხოვნით. ორგანული პროდუქციით ვაჭრობა ინტორმირებული მომხმარებლებით იწყება, რომელთაც სურთ ჯანსაღი პროდუქტების შეძენა, რადგან ის არ ვნებს ჯანმრთელობას და შესაბამისად უსაფრთხოა მათი ოჯახის წევრებისთვის.

## Abstract

Today the priority of most countries around the world is the development of bio farm, in order to introduce ecologically pure bioproduction. Chemical products, fertilizers and other similar substances or methods are not used in organic farming, which are negatively affecting the environment and human health. The current situation of the food industry in agriculture shows the necessity to find an alternate route for the traditional production of agricultural products. Based on customers' demands organic food is increasing in Europe.

In considering the ongoing processes in the world, recycling of biomaterials has become the most important, also marketing and bio-farms cooperation issues. Development of organic farming in Georgia may seem to be luxury, because of its economic condition, but if we consider that, organic farming is not only a healthy environment and healthy food, it also has a growing economic potential, obviously it's interesting and very important to introduce and share experiences of foreign

countries in this area. Many countries, as a result of correctly implemented state policy, have significantly increased the development of bioproduction.

Georgia is a country which has a resource and great perspective to be serious manufacturer of bio products and compete other EU exporters.

Many countries, as a result of properly implemented state policy, have significantly developed bioproduction. As we already mentioned, In Georgia there has not done much in terms of system development of bio farm. There was created the law about „Biological Agrarian Production”. Processes related to the production of bioproduction have been regulated. As for the development of the promoting this sector, the role of state is minimal, however the start is never too late and the state must still establish and realize how priority is the development of biofarm for the country and act properly.

The sale of organic products doesn't start by organizing organic food by the farmers or by the Government of Georgia demanding the production of bio products. Bio products trade starts with informed costumers, who want to buy organic food because it's completely safe for health and therefore safe for their family members.

## სარჩევი

### Contents

რეზიუმე.....	4
შესავალი.....	9
ლიტერატურის მიმოხილვა.....	11
თავი 1 - ბიოლოგიური სოფლის მეურნეობის საფუძვლები.....	13
1.1 - ორგანული სოფლის მეურნეობის შედარება ტრადიციულ სოფლის მეურნეობასთან.....	15
1.2 - ორგანული სოფლის მეურნეობა ევროპაში.....	18
თავი 2 - ბიომეურნეობის განვითარების პროცესები და პრინციპები.....	23
თავი 3 - ბიომეურნეობები და მათი როლი აგრობიზნესის განვითარებაში.....	25
თავი 4 - ემპირიული კვლევა.....	28



3.1 - ბიონარმოების განვითარების პროცესები სხვადასხვა ქვეყნებში .....	28
თავი 5 - ბიომეურნეობის განვითარების პროცესები საქართველოში.....	57
თავი 6 - ბიოლოგიური სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარება .....	67
თავი 7 - საქართველოს პერსპექტივები ევროკავშირის ბაზარზე .....	69
თავი 8 ფინანსური ანალიზი, ბიო და ტრადიციული ღვინის მაგალითზე.....	72
დასკვნა .....	83
რეკომენდაციები .....	87
გამოყენებული ლიტერატურა:.....	90

## შესავალი

**თემის აქტუალობა.** ბიონარმოების ერთ-ერთი მთავარი მიზანი ჯანმრთელი მომავალია, ამიტომ ამ თემის აქტუალობა უფრო და უფრო იზრდება.

სოფლის მეურნეობაში კვების პროდუქტების მრეწველობის დღევანდელი მდგომარეობა გვიჩვენებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ტრადიციული სისტემის ალტერნატიური გზის მოძებნის აუცილებლობას. ბიომეურნეობაა სწორედ ის მრავალფუნქციური ინსტრუმენტი, რომელშიც იგულისხმება კვების პროდუქტების ვარგისიანობა, მათი ხარისხი, გარემოსდაცვა და სოფლის მეურნეობის განვითარების და პრობლემების გადაჭრის საკმაოდ დიდი პოტენციალი. მომხმარებელთა მოთხოვნების ზრდის შესაბამისად, ევროპაში სულ უფრო იზრდება ორგანული კვების პროდუქციის წარმოება. დღესდღეობით მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობის პრიორიტეტია ორგანული ბიომეურნეობის განვითარება, რათა დაინერგოს ეკოლოგიურად

სუფთა ბიოპროდუქციის წარმოება. მეურნეობა ეკოლოგიურად (ბიოლოგიურად, ორგანულად) მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს, თუ მისი მართვის მეთოდები მსოფლიოში აღიარებული ბიოაგროწარმოების სტანდარტებს შეესაბამება;

ბიომეურნეობებში არ გამოიყენება ქიმიური პრეპარატები, სასუქები და სხვა მსგავსი ნივთიერებები ან მეთოდები, რომლებმაც უარყოფითად აისახება გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე.

ასევე, იკრძალება გენეტიკური ინჟინერიის ტექნოლოგიით მიღებული ორგანიზმების გამოყენება. მსგავს მეურნეობებში წარმოებული პროდუქტები წარმოადგენენ ორგანულ (ეკოლოგიურ, ბიო) პროდუქციას და ამ სტატუსის შესანარჩუნებლად ხდება მისი შემდგომი გადამუშავება, შეფუთვა და რეალიზაციის პროცესის შესაბამისი სტანდარტებით მართვა.

დღევანდელ სამყაროში სიცოცხლის საშიში მთავარი საფრთხე სწორედ, რომ გარემოს დაბინძურებიდან მომდინარეობს. გარემოს დაბინძურება ყოველწლიურად იწვევს დაახლოებით 9 მილიონამდე ადამიანის ნაადრევ სიკვდილს, გამომდინარე აქედან, ჩვენს ინფორმაციულ სამყაროში ძალიან გაიზარდა სკეპტიკური დამოკიდებულება ტრადიციული ფერმერობისადმი, რომელიც სულ უფრო და უფრო ხდება დამოკიდებული ქიმიურ სასუქებსა და პესტიციდებზე. დღეს, როგორც არასდროს, ადამიანებს აღელვებთ ის, თუ რამდენად ჯანსაღია ის საკვები რომელსაც მიირთმევენ. ბიობაზარზე მოთხოვნის ზრდის შედეგად, ბიო პროდუქტების წარმოება გაიზარდა.

## ლიტერატურის მიმოხილვა

სამაგისტრო ნაშრომში წარმოდგენილი ინფორმაცია, მოძიებულია სხვადასხვა ავტორის ნამუშევრებიდან, სტატიებიდან, წიგნებიდან და ასევე ელექტრონული საშუალებებით. ბიოპროდუქტების წარმოშობის შესახებ ინფორმაცია, გამყარებულია სხვადასხვა ქვეყანაში და მათ შორის საქართველოში არსებული მდგომარეობის აღწერით და ემპირიული კვლევებით.

მსოფლიოში მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით, უმნიშვნელოვანესი გახდა ბიოპროდუქტების გადამუშავება, მარკეტინგი და ბიოფერმერთა კოოპერირების საკითხებიც. ნაშრომში გამოყენებულ ლიტერატურაში განხილულია არსებული მიდგომები და ბიოპროდუქტების წარმოების ხელშემწყობი ფაქტორები. ბიომეურნეობა არის აგრარული სფეროს მდგრადი განვითარების პრინციპის პერსპექტიული რეალიზაცია.

ბიომეურნეობაში ერთიანდება საზოგადოების ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური სფეროები.

ბევრმა ავტორმა მიუძღვნა ნაშრომი, თუ სტატია აღნიშნულ თემას. ნაშრომში განხილულია ბიოპროდუქტების წარმოებით გამოწვეული სიკეთეები, ის, რომ ბოლო პერიოდში, მსოფლიო მასშტაბით განსაკუთრებული სისწრაფით გაიზარდა მოთხოვნა ბიოპროდუქტებზე. საქართველოში შედარებით ნელი ტემპით, თუმცა მაინც აცნობიერებენ, რომ ქიმიური პრეპარატების გარეშე მოყვანილი პროდუქცია მნიშვნელოვანია, როგორც ჯანმრთელობისთვის, ასევე ქვეყნის განვითარებისათვის. ბიომეურნეობების განვითარების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა მოგვცეს შესაძლებლობა ვაწარმოოთ კონკურენტუნარიანი საექსპორტო პროდუქცია, რომელიც თავისთავად შეუწყობს ხელს ქვეყნის საერთაშორისო ბაზარზე გასვლას და ადგილის შენარჩუნებას, რაც გაზრდის საექსპორტო შემოსავლებს.

მოძიებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეგვიძლია მივიღოთ მონაცემები ორგანული საკვები პროდუქტების გლობალური ბაზრის შესახებ, ასევე სტანდარტებისა და რეგულაციების, ორგანული პოლიტიკის და ორგანული სოფლის მეურნეობის მიმდინარე და განვითარებადი ტენდენციების შესახებ.

საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, რაც გულისხმობს მომავალი თაობის უზურნველყოფას ბიოპროდუქციით და ადამიანისათვის უვნებელი გარემოს შექმნას, მოძიებულ ლიტერატურაზე დაყრდნობით შევეცდები ძირითადი თემების გამოყოფას და თავისებურებების გამოვლენას.

## თავი 1 - ბიოლოგიური სოფლის მეურნეობის საფუძვლები

ბიოლოგიურ სოფლის მეურნეობას XX საუკუნის დასაწყისში საფუძველი ჩაუყარა შვეიცარიელმა მეცნიერმა ჰანს მიულერმა. შვეიცარიის შემდეგ ბიომეურნეობის წარმოების იდეამ სხვა ქვეყნებშიც მოიხვეწა. პირველად გერმანიაში და შემდგომ კი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში შეიქმნა ორგანიზაციები და ფერმერთა გაერთიანებები, რომელთა მიზანი იყო ქვეყანაში განეფითარებინათ ორგანული მინათმოქმედება. 1920-იანი წლებიდან ბიოლოგიური მინათმოქმედების განვითარება ბიოდინამიური კონცეფციის მიხედვით ხდება, რაც ნიშნავს, რომ შეზღუდულია ქიმიური პრეპარატების და სხვა საშუალებების გამოყენება, ნიადაგის ნაყოფიერების და მცენარეთა დაცვის

მიზნით მაქსიმალურად იყენებენ საკუთარი მეურნეობის რესურსებს. XX საუკუნის დასაწყისში ჯერ კიდევ არ იყო ბოლომდე გაცნობიერებული ქიმიური მრეწველობით გამოწვეული პრობლემები. მიუხედავად ამისა, ბიომეურნეობის ფუძემდებლებმა სწორად შეაფასეს ტრადიციული სოფლის მეურნეობის მოსალოდნელი შედეგები და განსაზღვრეს ორგანული სოფლის მეურნეობის ძირითადი პრინციპები, რომლებსაც დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა. ის, რომ დღეს ტრადიციული სოფლის მეურნეობა უარყოფით შედეგებს გვაძლევს, ამაზე აღარავინ კამათობს (ნიადაგის სტრუქტურის დაზიანება, მინერალური სასუქების და ქიმიური ნაერთების გამოყენების შედეგად ნიადაგის ბუნებრივი ნაყოფიერების განადგურება; საკვები პროდუქტების ხარისხის გაუარესება და ა.შ.), მაგრამ ეს მაინც არ არის საკმარისი წინაპირობა იმისათვის რომ ბიომეურნეობაზე გადასვლის გადაწყვეტილება იქნეს მიღებული, მიუხედავად იმისა, რომ ბიომეურნეობაზე გადასვლის შემთხვევაში ნაკლები დანახარჯები იქნება საბრუნავ საშუალებებზე და მსოფლიო ბაზარზე ბიოპროდუქციას ბევად მაღალი ფასი აქვს. ბიომეურნეობაზე გადასვლისათვის პირველ რიგში მწარმოებლისა და მომხმარებლის მსოფლმხედველობის შეცვლაა საჭირო, რასაც აზროვნების შეცვლა და მისი დამკვიდრება სჭირდება, რაც ნაწილობრივ დაიწყო კიდევაც XX საუკუნეში. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ჯერ კიდევ ბიომეურნეობების იდეის მიმართ უნდობლობით არიან გამსჭვალულნი, რასაც მიზეზებიც გააჩნია, ეს არის, ბიომეურნეობის მოწყობისა და ბიომეთოდების არასაკმარისი ცოდნა, მცირე რაოდენობის საკონსულტაციო სამსახურები, არასაკმარისი მხარდაჭერა სახელმწიფოს მხრიდან, ბიოპროდუქციის ბაზრის ნელი ტემპით განვითარება და სხვა.

ეკოლოგიური მეურნეობის განვითარებაში განსაკუთრებული როლი აქვს ორგანული სოფლის მეურნეობის მოძრაობის საერთაშორისო ფედერაციას

(IFOAM). 1972 წლიდან ფედერაცია იღწვის, რომ შეიქმნას და დამკვიდრდეს ორგანული სოფლის მეურნეობის მსოფლიო სტანდარტები. IFOAM-ის წევრების რაოდენობის ზრდის ტენდენციით ხასიათდება, თავიდან ფედერაციაში 5 წევრი იყო (სამი ქვეყნიდან), 15 წლის შემდეგ მათი რიცხვი 100-მდე (25 ქვეყნიდან) გაიზარდა, ამჟამად კი წევრთა რიცხვი 800-მდეა (100-ზე მეტი ქვეყნიდან).

### 1.1 - ორგანული სოფლის მეურნეობის შედარება ტრადიციულ სოფლის მეურნეობასთან

ორგანული სოფლის მეურნეობა არის მეურნეობის ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის მიღებას და გადამუშავებას ისე, რომ არ დამაბინძურდეს გარემო. მეურნეობის ეს სისტემა თითქმის გამორიცხავს, ყოველშემთხვევაში მინიმუმამდე დაჰყავს ქიმიური პრეპარატების გამოყენების შესაძლებლობას.

ტრადიციული სოფლის მეურნეობა კი წარმოადგენს მეურნეობის წარმოების ისეთ სისტემას, რომლის მთავარი მიზანია მაღალი მოსვლის მიღება ყველა დასაშვები (მათ შორის ქიმიური) საშუალებების გამოყენებით.

ორგანულ სოფლის მეურნეობასთან შედარებით ტრადიციულ სოფლის მეურნეობას უამრავი უარყოფითი შედეგი გააჩნია, მათ შორის:

- ქიმიური პრეპარატების და მინერალური სასუქების გამოყენებით შედეგად დაზიანებული ნიადაგის სტრუქტურა და დაქვეითებული ბუნებრივი ნაყოფიერება;
- ჰერბიციდების და მინერალურის სასუქების მიერ დარღვეული ნიადაგის ორგანიზმების კვებითი რეჟიმი, მათი რიცხოვნობის შემცირება, დარღვეული ორგანული ნივთიერებათა ბალანსი, რაც, თავისთავად ცხადია, რომ უარყოფითად აისახება მცენარის სრულფასოვან კვებაზე;
- მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებების გამოყენებისას ირღვევა ეკოლოგიური წონასწორობა და ნადგურდება არა მარტო სამიზნე ორანიზმების სასარგებლო ენტომოფაუნა და ფლორა. მაგალითად ქიმიური ფუნგიციდების გამოყენების დროს ილუპებიან ისეთი სოკოები, რომლებიც, თავის მხრივ, მავნებლებს ანადგურებენ და ეწინააღმდეგებიან მათ მასიურ გამრავლებას. ასევე ინსექტიციდების გამოყენებაც, ასეთ დროს ფერმერი არა მარტო კონკრეტულ მავნებელს ებრძვის, არამედ ზოგიერთი ისეთ მწერსაც, რომელიც სხვა მავნებლების ბუნებრივი მტერია და შესაბამისად, როცა ერთი მავნებლის გამრავლების პრობლემა იხსნება, მაშინ ხდება სხვა მავნებლის რიცხოვნობის ზრდა;



- ქიმიური პესტიციდის გამოყენება რაღაც პერიოდის მანძილზე ამცირებს დაავადებათა და მავნებელთა რიცხვს, მაგრამ რამდენიმე თაობის განმავლობაში მავნებელი გამოიმუშავებს გამძლეობას კონკრეტული პრეპარატის და შესაბამისად საჭირო ხდება ქიმიური პრეპარატების დოზის გაზრდა ან შეცვლა ახლით, რომელიც უფრო ძლიერმოქმედი იქნება, ამდენად მწარმოებელი დამოკიდებული ხდება ქიმიურ პრეპარატებზე;
- ქიმიური პრეპარატებით გარემოს დატვირთვა იწვევს გარემოს გლობალურ დაბინძურებას;
- სწრაფი ტემპით უარესდება საკვები პროდუქტების ხარისხი და გემოვნებითი თვისებები.
- საფრთხე ექმნება ადამიანების ჯანმრთელობას როგორც უხარისხო საკვები პროდუქტების მხრიდან, ასევე მუშაობის პროცესში ქიმიურ პრეპარატებთან კონტაქტის გამო;

ტრადიციული (კონვენციური, ჩვეულებრივი) სოფლის მეურნეობის უარყოფითი გავლენის თუნდაც ზედაპირული ანალიზი სერიოზული არგუმენტია ორგანული სოფლის მეურნეობის გასამყარებლად, თუმცა უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ორგანულ სოფლის მეურნეობაზე გადასვლის პროცესი მეურნეების და მომხმარებლის ფსიქოლოგიის, მსოფლმხედველობის შეცვლას მოითხოვს, არჩევანი უნდა გაკეთდეს დღევანდელ მდგომარეობასა და ხვალინდელ პერსპექტივას შორის.

თუმცა გამომდინარე აქედან, შეგვიძლია ვთქვათ, რომ გადანყვეტილების მიღება არც თუ ისე რთულია, რადგან აშკარაა ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარების დადებითი მხარეები და კონვენციური სოფლის მეურნეობის შენარჩუნების უარყოფითი მხარეები, რაც დასტურია იმისა, რომ ორგანული

სოფლის მეურნეობის განვითარება არის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი ყველა ქვეყნისთვის.

## 1.2 - ორგანული სოფლის მეურნეობა ევროპაში

ევროპაში, ორგანული სოფლის მეურნეობის ინტენსიური განვითარება 1990 წლიდან დაიწყო. 2002-2013 წლებში ორგანული ს/მ ევროკავშირში 5.6 მლნ

ჰა-დან 11.2 მილიონ ჰა-მდე გაიზარდა, 140 ათასი მეურნეობიდან – 260 ათასამდე. ეს შეადგენს საერთო სასოფლო-სამეურნეო ფართობის 5,7%. 2009-2010 წლების მონაცემებით.

ევროგაერთიანების ქვეყნებში, ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარებას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა. ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით ევროკომისიამ 2004 წლის ივნისში მიიღო “ევროპის სამოქმედო გეგმა ორგანული სურსათისა და სოფლის მეურნეობისათვის”. სამოქმედო დოკუმენტი, რომელიც 21 საპროგრამო პუნქტისაგან შედგება და დიდი ყურადღება ეთმობა ორგანული სოფლის მეურნეობის ინფორმაციული უზრუნველყოფის განვითარების გეგმების სრულყოფას, მისი წარმოების სტანდარტების გაუმჯობესებას და სამეცნიერო კვლევების გაძლიერებას. სამოქმედო გეგმა შემუშავდა და შეიქმნა ევროპის ბიოლოგიური სოფლის მეურნეობის სექტორის გაფართოებისა და ბიოპროდუქციაზე მომხმარებლის მოთხოვნების ზრდის საპასუხოდ.

მსოფლიოში მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით, უმნიშვნელოვანესი გახდა ბიოპროდუქტების გადამუშავება, მარკეტინგი და ბიოფერმერთა კოოპერირების საკითხებიც.

ევროპის შიდა ბაზარი, რომელიც ასევე ცნობილია და მოიხსენიებენ, როგორც „ერთიანი ბაზარი“, მოქალაქეებს და ბიზნესს აძლევს იმის საშუალებას, რომ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში თავისუფლად ქონდეთ ვაჭრობის და გადაადგილების უფლება. ის მათ პროდუქციის ფართო არჩევანს სთავაზობს და ამავდროულად აძლევს მათი შეძენის საშუალებას კონკურენტუნარიან ფასად, ის ასევე ხელს უწყობს მომხმარებელს იყოს დაცული საკუთარ ქვეყანაშიც, საზღვრებსგარეთაც და ინტერნეტით ვაჭრობისასაც. ის ამავდროულად მთელ მსოფლიოსთან აიაფებს და ამარტივებს ბიზნესის

კეთებას და დიდი და პატარა კომპანიებისთვის კონკურენციას. ის ასევე, კერძო პირებს საცხოვრებელი თანხის გამომუშავების, სწავლის ან ევროკავშირის სხვა ქვეყანაში პენსიაზე გასვლის უფლებას აძლევს.

ერთიან ბაზარზე არსებობს **კანონმდებლობა**, რომლის მიზანს წარმოადგენს ევროკავშირის ბაზარზე არსებული პროდუქტი აკმაყოფილებდეს ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მოთხოვნებს და ეს პროდუქტი ევროკავშირის ბაზარზე სავაჭრო ბარიერების გარეშე იყოს დაშვებული. პროდუქტისთვის ყველაზე მთავარი ელემენტები ერთიან ბაზარზე არის:

**სტანდარტები** - განსაზღვრავს პროდუქციის ტექნიკურ და ხარისხობრივ მოთხოვნებს, წარმოების პროცესს, მომსახურების სერვისებს და სატესტო მეთოდებს. სტანდარტიზაცია არის ხერხი, რომლის მეშვეობითაც საწარმო ქმნის პროდუქტს და უზრუნველყოფს მის უსაფრთხოებას.

**შესაბამისობის შეფასება** - შესაბამისობის შეფასების პროცედურის ჩატარება იქამდე უნდა მოხდეს, ვიდრე პროდუქტი ევროკავშირის ბაზარზე განთავსდება. აუცილებელია დამტკიცდეს, რომ პროდუქტი შეესაბამება ყველა საკანონმდებლო მოთხოვნას და ასევე შემოწმებულია და სერტიფიცირებულია. პროცედურის უნდა დაარწმუნოს მომხმარებელი, საჯარო მოხელეები და მწარმოებლები პროდუქტის შესაბამისობაში;

**აკრედიტაცია** - აკრედიტაციის მიზანია, რომ უზრუნველყოფილი იყოს, შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების (ლაბორატორიებს, ინსპექტირების ან სერტიფიცირების ორგანოებს) მოვალეობის შესრულების ტექნიკური შესაძლებლობა. აკრედიტაცია ზრდის შესაბამისობის შეფასების ნდობის ხარისხს. ის აძლიერებს პროდუქტების, სერვისების, სისტემებისა და ორგანოების ურთიერთაღიარებას ევროკავშირის ფარგლებში;

**ბაზრის ზედამხედველობა** - საბაზრო ზედამხედველობა უზრუნველყოფს, რომ ევროკავშირის ბაზარზე საფრთხე არ შეუქმნას ევროპელ მომხმარებლებს არასაკვებმა პროდუქტებმა. ასევე, სხვა საჯარო ინტერესის დაცვას, მაგალითად როგორცაა გარემო, უსაფრთხოება და სამართლიანობა სავაჭრო სფეროში. ბაზრის ზედამხედველობამ შეიძლება გამოიწვიოს შეუსაბამო პროდუქტის მიმოქცევის შეჩერების და მათი შესაბამისობაში მოყვანის სანქციები;

**„CE მარკირება** – CE მარკირება დაინერგა ევროპის ტექნიკური ჰარმონიზაციის კანონმდებლობის შესაბამისად. იგი სავალდებულოა ყველა პროდუქტისთვის, რომელსაც ეხება ერთი ან მეტი ევრო დირექტივა და უზრუნველყოფს ამ პროდუქტის თავისუფალ გადაადგილებას ევროკავშირში. პროდუქტზე CE მარკირების“ უფლების მოსაპოვებლად მწარმოებლებმა უნდა ჩაატარონ ან ჩატარებული უნდა ჰქონდეთ კონტროლი და ტესტირება იმის დასამტკიცებლად, რომ პროდუქცია შეესაბამება აუცილებელ მოთხოვნებს, რომლებიც მეტწილად ეხება ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას, როგორც ეს შესაბამის დირექტივაშია მითითებული. CE მარკირებასთან დაკავშირებული დირექტივებით გათვალისწინებული პროდუქტების ბაზარზე განთავსება „CE მარკირების“ გარეშე დაუშვებელია. მარკირების შემონმებისთვის პროდუქტის უსაფრთხოების მეთვალყურეობის ორგანოებს შეუძლიათ მოითხოვონ შესაბამისობის დეკლარაცია და მწარმოებლის მიერ დადგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია, რათა დაადასტურონ პროდუქტის ტექნიკური შესაბამისობა. მას შემდეგ, რაც პროდუქტს ექნება CE მარკირება, იგი შეიძლება თავისუფლად გაიშვას ერთიან ბაზარზე.

ევროკავშირის სურსათის **უვნებლობის პოლიტიკის** მთავარი მიზანია უზრუნველყოს საკვები მრეწველობის დარგში ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის მაღალი ხარისხი. ევროკავშირი მიზნად ისახავს უზრუნველყოს სურსათის

უვნებლობის, ცხოველებისა და მცენარეების ჯანმრთელობის დაცვის მაღალი ხარისხი ევროკავშირის სტანდარტების მონიტორინგის სისტემის საშუალებით, რათა უზრუნველყოს შიდა ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირება.

ევროკავშირის სურსათის უვნებლობის შესახებ კანონმდებლობა არის ჰარმონიზებული და ევროკავშირის ერთიანი ბაზრის სავაჭრო შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ეს სექტორი უდიდეს სარგებელს იღებს.

შესაბამისმა ღონისძიებებმა უნდა უზრუნველყონ ეფექტიანი კონტროლის სისტემის შექმნა და შესაბამისობა ევროკავშირის სტანდარტებთან მიმართებაში, სურსათის უვნებლობის, ცხოველთა ჯანმრთელობის, ცხოველთა კეთილდღეობის, ცხოველთა კვების და მცენარეთა ჯანმრთელობის დაცვის კუთხით, ევროკავშირში და მესამე ქვეყნებში ევროკავშირთან ექსპორტის შემთხვევაში“.

[წყარო:[http://www.parliament.ge/files/415\\_941\\_319510\\_Document8.pdf?fbclid=IwAR0fiXW5mQkANTPgo5S90xejQ1JDWIKFhemB2eQpjsKTc30aw6sXJeko2wY](http://www.parliament.ge/files/415_941_319510_Document8.pdf?fbclid=IwAR0fiXW5mQkANTPgo5S90xejQ1JDWIKFhemB2eQpjsKTc30aw6sXJeko2wY)]

[წყარო:<http://www.dcfta.gov.ge/ge/dcfta-for-business/internal-market>]

## თავი 2 - ბიომეურნეობის განვითარების პროცესები და პრინციპები

ბიოლოგიური მეურნეობა (ეკოლოგიური, ორგანული) სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების, მისი გადამუშავების და გასაღების მონესრიგებული სისტემაა. ეს არის საკვები პროდუქტების ეკოლოგიურად სუფთა და ეფექტიანი წარმოება.

ბიომეურნეობაში შედის მცენარეების, ცხოველების და ლანდშაფტების ბუნებრივი პროდუქტიულობა. იგი მიმართულია ბიონარმოების ხარისხის გაუმჯობესებასა და გარემოს შენარჩუნებაზე. ბიომეურნეობაში მკვეთრად არის შეზღუდული წარმოებისათვის საჭირო საშუალებების გარედან შემოტანა, როგორც წესი, არ შეიძლება ქიმიური ნივთიერებების, გენმოდიფიცირებული ორგანიზმების გამოყენება, პირიქით, ნიადაგის ნაყოფიერებისათვის, ჯანმრთელობისთვის და მთლიანად ბიომეურნეობის შენარჩუნებისთვის, მისდევენ ბუნების კანონებს. უმნიშვნელო ცვლილებები შეიძლება გამოიწვიოს ადგილობრივმა სოციალურ-ეკონომიკურმა, გეოკლიმატურმა და კულტურულმა თავისებურებებმა.

„ბიომეურნეობის საყოველთაო სტანდარტი მიიღო და დაადგინა „ეკოლოგიური სოფლის მეურნეობის მოძრაობის საერთაშორისო ფედერაციამ“ (IFOAM-მა), რომელიც მხარს უჭერს დამოუკიდებელ სისტემებს ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე“.

[წყარო:[http://agronews.ge/biomeurneobis-saphudzvlebi--ra-arisbiomeurneoba/?fbclid=IwAR3BNCFRYYCGw3YaQzZIy5E9ydFK8Ts0\\_4QM1WCYOBkHkoIs6bU0Nks5OCQ](http://agronews.ge/biomeurneobis-saphudzvlebi--ra-arisbiomeurneoba/?fbclid=IwAR3BNCFRYYCGw3YaQzZIy5E9ydFK8Ts0_4QM1WCYOBkHkoIs6bU0Nks5OCQ)]

ორგანული სოფლის მეურნეობა ემყარება: სიჯანსაღის პრინციპს, ეკოლოგიის პრინციპს, სამართლიანობის პრინციპს, ზრუნვის პრინციპს. ბიომეურნეობის მიზანია, მივიღოთ მდგრადი და მომგებიანი მეურნეობა.

ბიომეურნეობა არის აგრარული სფეროს მდგრადი განვითარების პრინციპის პერსპექტიული რეალიზაცია. ბიომეურნეობაში ერთიანდება საზოგადოების ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური სფეროები.

[წყარო:[http://agronews.ge/biomeurneobis-saphudzvlebi--ra-arisbiomeurneoba/?fbclid=IwAR3BNCFRYYCGw3YaQzZIy5E9ydFK8Ts0\\_4QM1WCYOBkHkoIs6bU0Nks5OCQ](http://agronews.ge/biomeurneobis-saphudzvlebi--ra-arisbiomeurneoba/?fbclid=IwAR3BNCFRYYCGw3YaQzZIy5E9ydFK8Ts0_4QM1WCYOBkHkoIs6bU0Nks5OCQ)]

[წყარო:საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“ (2017), ორგანული სოფლის მეურნეობა]



### თავი 3 - ბიომეურნეობები და მათი როლი აგრობიზნესის განვითარებაში

მსოფლიო საზოგადოების შეშფოთება გამოიწვია, ბოლო პერიოდის განმავლობაში ქიმიური პეპარატების წარმოების მოცულობისა და ამ სფეროში ვაჭრობის ტემპის სწრაფმა ზრდამ. იმ ქვეყნებში, სადაც შექმნილი არ არის ამ პრეპარატების იმპორტზე და გამოყენებაზე მონიტორინგის განხორციელებისათვის საჭირო სისტემა, ამ მხრივ, განსაკუთრებით რთული ვითარებაა.

მსოფლიოში უკვე ბევრი ფერმერი ცდილობს, რომ მოსავლის მოყვანისას ქიმიკატების გამოყენება შეამციროს. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მათ საერთოდ ამოიღეს ქიმიკატების და სასუქების გამოყენება, მაგრამ ისინი მაქსიმალურად ცდილობენ ქიმიური პრეპარატების გამოყენების მინიმუმამდე დაყვანას. ასევე არსებობენ ფერმერები, რომლებიც ქიმიკატებს საერთოდ არ იყენებენ და თან სერთიფიცირებულები არიან ორგანული მასერთიფიცირებელი დანესებულების მიერ, ნებსმიერი ორგანული პროდუქტის წარმოება იწყება მიწის სერთიფიკაციით. ორგანული სერთიფიკაცია ადასტურებს, რომ აგროქიმიის და

გმო-ს მოხმარებიდან გავიდა მინიმუმ 3 წელი, და მიწაში აღარ დარჩა მავნე ნივთიერებები, ანუ ფერმერების კატეგორია რომლებიც შეგვიძლია ვაღიაროთ რომ ყველაზე სასურველი ფერმერები არიან.

რაც, შეეხება საქართველოს, სახელმწიფო მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტები, რომლებიც უნდა განავითაროს:

- სოფლის მეურნეობა
- სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელი წარმოება.
- მცირე და საშუალო მენარმეობა
- საექსპორტო ბიო პროდუქტების წარმოება
- სამამულო პროდუქციის სურსათით ქვეყნის თვითუზრუნველყოფა
- საერთაშორისო ბაზარზე დამკვიდრება

ბოლო პერიოდში, მსოფლიო მასშტაბით განსაკუთრებით სისწრაფით გაიზარდა მოთხოვნა ბიოპროდუქტებზე. საქართველოში შედარებით ნელი ტემპით, თუმცა მაინც აცნობიერებენ, ქიმიური პრეპარატების გარეშე მოყვანილი ნაყოფის მნიშვნელობას. ბიომეურნეობების განვითარების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა მოგვცეს შესაძლებლობა ვანარმოთ კონკურენტუნარიანი საექსპორტო პროდუქცია, რომელიც თავისთავად შეუწყობს ხელს ქვეყნის საერთაშორისო ბაზარზე გასვლას, ადგილის შენარჩუნებას, რაც გაზრდის საექსპორტო შემოსავლებს. საქართველომ უნდა აწარმოოს უმაღლესი ხარისხის მრავალფეროვანი ბიოპროდუქტები, საკვები არის ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი პროდუქტი და საკვები საშუალებებით ქვეყნის უზრუნველყოფა არის უსაფრთხოების ერთ-ერთი მთავარი ნაწილი. მსოფლიოში ფუფუნებად ითვლება, საკვები პროდუქტები, რომლებსაც აქვთ წარწერა „ორგანული“, „ბიო“ და „ეკოლოგიურად სუფთა“, ისინი განთავსებულია ან დიდ სუპერმარკეტებში და გამოყოფილი აქვთ სპეციალური

სივრცე, ან არსებობს სპეციალური მაღაზიები სადაც მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტები იყიდება და მათი ფასი ჩვეულებრივ საკვებთან შედარებით უფრო ძვირია.

[წყარო:[http://agrokavkaz.ge/agroplus/biomeurneobebi-da-mathi-rol-agrobiznesis-ganvitharebashi.html?fbclid=IwAR0q8QuDqxGA\\_b2bt0IO9lSuoLklorO5oHVPpIgaIkcXKqSQ\\_2dPe3XbTsaU](http://agrokavkaz.ge/agroplus/biomeurneobebi-da-mathi-rol-agrobiznesis-ganvitharebashi.html?fbclid=IwAR0q8QuDqxGA_b2bt0IO9lSuoLklorO5oHVPpIgaIkcXKqSQ_2dPe3XbTsaU)]

გამომდინარე აქედან, შეგვიძლია ვთქვათ რომ, აგრობიზნესის განვითარებისათვის უმნიშვნელოვანესია ბიოპროდუქტების წარმოებაზე ყურადღების გამახვილება და ამ საკითხის წინ წამოწევა. რაც თავისმხრივ ხელს შეუწყობს მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესებას და ეკოლოგიურად სუფთა საკვები პროდუქტებით მათ მომარაგებას. აგრეთვე, უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო წარმოებიდან მიღებული შემოსავლების ზრდას.

## თავი 4 - ემპირიული კვლევა

აღნიშნული ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ბიონარმოების განვითარებისთვის საჭირო ქმედებების შესწავლა-გამოვლენა. ამ მიზნით, მოვახდინე სხვადასხვა ქვეყნის მაგალითების გამოკვლევა, რათა ჩამოვყალიბო ის რეკომენდაციები, რაც საჭირო იქნება საქართველოში აღნიშნული ღონისძიებების გასატარებლად.

### 3.1 - ბიონარმოების განვითარების პროცესები სხვადასხვა ქვეყნებში

#### ინდოეთი (სიკიმი)

2016 წლიდან, სიკიმი, ოფიციალურად, არის პირველი რეგიონი მსოფლიოში, სადაც 100 %-ით ორგანული პროდუქტი იწარმოება. გამომდინარე იქიდან, რომ ჰიმალაის რეგიონი და მოსახლეობა ძალიან სერიოზული ეკოლოგიური და ჯანმრთელობისთვის საშიში პრობლემების (ქიმიური

პრეპარატების შემცველი საკვებით გამოწვეული დაავადებები) წინაშე იდგა, ამან განაპირობა, რომ ქვეყანა გადასულიყო ორგანული პროდუქტის წარმოებაზე. სიკიმის მთავარმა მინისტრმა, პავან ჩამლინგმა საზოგადოებას წარუდგინა და გაუზიარა თავისი გეგმები და ხედვები, იმის შესახებ თუ როგორ შეიძლებოდა სიკიმი გამხდარიყო პირველი ბიო რეგიონი. ამისათვის უპირველესად შეიქმნა სიკიმის ბიო მეურნეობის განვითარების პროექტი, სადაც დეტალურად იყო განზრდილი ყოველი გეგმა, თუ როგორ განხორციელდებოდა პრობლემების მოგვარება. რეგიონში ეტაპობრივად ხდებოდა ქიმიური პრეპარატების და სასუქების გამოყენების აკრძალვა. შემუშავდა კანონი, სადაც ორგანული წარმოების პროცესების დარღვევის შემთხვევაში ფერმერები ჯარიმდებოდნენ. მოსახლეობის ინფორმირება ხდებოდა პოპულარული სატელევიზიო გადაცემების მეშვეობით, რომელიც რა თქმა უნდა ეხებოდა ორგანულ წარმოებას. ბიოწარმოების ექსპერტები და სპეციალისტები ატარებდნენ სპეციალურ ტრენინგებს ფერმერებისათვის. რამდენიმე ფერმერის გაგზავნა მოხდა საზღვარგარეთაც, რათა სრულყოფილი ყოფილიყო ბიოწარმოების პროცესების შესწავლა. ასევე, ორგანული მეურნეობა ისწავლებოდა სკოლებში.

2016 წლის იანვარში, ინდოეთის პრემიერ მინისტრმა, ბიო პროდუქტების ფესტივალზე განაცხადა, რომ რეგიონი მთლიანად ბიოპროდუქტებს აწარმოებს. ამ რეგიონისთვის ბიოპროდუქტების წარმოების მთავარი მიზანი იყო ეკონომიკური მოგება, საზოგადოების კეთილდღეობა (ჯანმრთელობა) და გარემოს დაცვა. ორგანულ რეგიონად ჩამოყალიბება, რეგიონის განვითარებაზე რა თქმა უნდა დადებითად აისახა, განვითარდა ტურიზმი, რამაც დიდი დამატებითი შემოსავალი მოუტანა რეგიონს. ტურისტებს მიეცათ საშუალება დარჩნენ ბიო სოფლებში და ბუნების სილამაზის ტკბობასთან ერთად დააგემოვნონ ნატურალური ბიო პროდუქტები.

## ავსტრია

ავსტრია დღემდე არის ერთ-ერთი მონინავე ქვეყანა ევროპაში ორგანული ფერმებისა და ორგანული სავარგულების პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით. ავსტრიაში ჯერ კიდევ 1920-1930-იან წლებში ჩამოყალიბდა პირველი ორგანული ფერმები, ბიომეურნეობების რიცხვი არცთუ ისე სწრაფად, მაგრამ მაინც იზრდებოდა. ბიომეურნეობის რაოდენობის ზრდის პირველი მნიშვნელოვანი მაჩვენებელი იყო 1990-იანი წლების შუა პერიოდში, რასაც მათი რიცხვის შესამჩნევი (1800-ით) შემცირება მოჰყვა 2000 წლისთვის. 2001-2003 წლებში დაიწყო წინსვლა, როცა ორგანული მიწის ფართობი 50%-ით, ხოლო ფერმების რიცხვი 700-ით გაიზარდა. ბოლო ათწლეულში ბიომეურნეობების სწრაფ განვითარებას ხელი შეუწყო სამმა ძირითადმა ფაქტორმა:

- ✓ ფედერალურმა სუბსიდიებმა
- ✓ გარემოსდაცვითმა პროგრამებმა
- ✓ ავსტრიის ნაციონალური დახმარების პროგრამამ

დღევანდელი მდგომარეობით ავსტრიაში ორგანული ფერმების რაოდენობა დაახლოებით 18,600 ია და დაახლოებით 296,000 ჰექტარ მიწის ფართობს მოიცავს, რაც ავსტრიის სასოფლო სამეურნეო სავარგულების 11,6% შეადგენს და ფერმების საერთო რაოდენობის 9,2%-ს. ავსტრიაში თერთმეტი ორგანულ-ფერმერული ორგანიზაციაა, თუმცა მათ შორის ყველაზე მსხვილი არის Ernte, რომელიც აერთიანებს ორგანული ფერმების 90%-ს. მათ ბიომეურნეობების საკუთარი სტანდარტები აქვთ ჩამოყალიბებული, რომლებიც ქვეყანაში მოქმედ საერთო სტანდარტებზე ბევრად უფრო მკაცრია.

ავსტრიაში ფერმერული ასოციაციების წევრებმა თავიანთი დებულებების მოთხოვნებიც უნდა შეასრულონ. ორგანული ფერმები ავსტრიაში რეგისტრირდება ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელის (Landeshauptmann) მიერ. რეგისტრაციისთვის აუცილებელია ჯერ მაკონტროლებელ ორგანოსთან კონტრაქტი გაფორმდეს. წელიწადში რამდენჯერმე ტარდება ინსპექცია EU სტანდარტების მიხედვით (წინასწარი გაფრთხილების გარეშე).

1994 წელს სოფლის მეურნეობისა და სატყეო მეურნეობების სამინისტრომ მომხმარებლების უსაფრთხოების მიზნით შემოიღო ემბლემები (სავაჭრო ნიშნები) "Austria Bio-Zeichen" ("Austria Organic Label"). ემბლემის იყენებენ ლიცენზირებული ფერმები, გადამამუშავებელ და სავაჭრო კომპანიები. იგი არის გარანტია იმისა, რომ საკვები არის ორგანული. ასევე აუცილებელია ყველა მაკონტროლებელმა ორგანომ დაასაბუთოს, რომ მათი ხარისხის მართვის სისტემა შესაბამისია დადგენილი სტანდარტებისა. მაკონტროლებელი ორგანოების მონიტორინგს ახორციელებს ავსტრიის ეკონომიკის სამინისტროს დეპარტამენტის აკრედიტაციის სამსახური. მათმა მოთხოვნებმა მასერტიფიცირებული ორგანოების რაოდენობა მკვეთრად შეამცირა, შესაბამისად მნიშვნელოვნად გაიზარდა კონტროლისა და სერტიფიკაციის ხარისხი. ამჟამად ავსტრიაში 7 მაკონტროლებელი ორგანო ფუნქციონირებს.

ავსტრიაში ბიოპროდუქტებით ვაჭრობის წლიური მოცულობა 218 მილიონ ევროს აღწევს. ეს არის ქვეყანაში არსებული საკვები პროდუქტების მთლიანი ვაჭრობის დაახლოებით 3%. მთლიანი პროდუქტის 70%-ზე მეტი იყიდება სავაჭრო ქსელის მეშვეობით, დაახლოებით 10% იყიდება პირდაპირ ადგილობრივი სავაჭრო არხებით (რესტორნები, სასტუმროები, საცხობები, სკოლები), 13% კი – სპეციალური ორგანული მაღაზიების მეშვეობით.

ორგანული პროდუქტების წარმოების მკვეთრმა ზრდამ განაპირობა სუპერმარკეტებში მათი გაყიდვის დაწყება. სუპერმარკეტებში შეტანით გაიზარდა ბიოპროდუქტების გაყიდვები. ორგანული პროდუქცია ამაღლებს სუპერმარკეტების ქსელის იმიჯს, რაც იწვევს მომხმარებელთა რაოდენობის ზრდას. მიუხედავად ყველაფრისა, ბიოპროდუქტების მწარმოებლების უმეტესობა თვლის, რომ ორგანული პროდუქტის გაყიდვისათვის მნიშვნელოვანია მარკეტინგული სტრატეგიის განვითარება. ბიოპროდუქტების გაყიდვების ერთ-ერთი საუკეთესო გზაა ორგანული ფერმერების კოოპერატივი. ასევე, წარმატებით მიმდინარეობს სახლში მიტანის მომსახურება, ასევე ყველგან მოიკიდა ფეხი ორგანულმა მაღაზიებმა, განსაკუთრებით კი დიდ ქალაქებში. ორგანული პროდუქციის ბაზრობები გვხვდება ყველგან, ქალაქებსა და სოფლებშიც. ვენის ცენტრში ყოველ ორ კვირაში ერთხელ იმართება დიდი ორგანული ბაზრობა, სადაც წარმოდგენილია ბიოპროდუქტების ფართო არჩევანი სხვადასხვა რეგიონიდან.

ავსტრიაში შესაძლებელია ორგანული ფერმერობის საწვრთნელი პროგრამების და ინდივიდუალური კურსების გავლა სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებსა და სასოფლო-სამეურნეო კოლეჯებში. მათ ასევე შეუძლიათ მნიშვნელოვანი დახმარების განწევა მეცნიერული ექსპერიმენტების ჩატარებისას. ასევე შესაძლებელია, ლინცის სასოფლო-სამეურნეო ასოციაციაში ერთწლიანი სპეციალური პროგრამის გავლა, რომელიც ორგანული ფერმერების მრჩევლების მომზადებას ემსახურება. 1992 წლიდან ნელ-ნელა ფართოვდება ორგანული ფერმერობის კვლევა საუნივერსიტეტო დონეზე. ორგანული მეურნეობის მთავარ კვლევით დაწესებულებას წარმოადგენს ვენის სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტთან არსებული ორგანული ფერმერობის ინსტიტუტი. გარდა ამისა, ორგანული ფერმერობის მეცნიერული კვლევა მიმდინარეობს



სხვადასხვა საუნივერსიტეტო სამეცნიერო დაწესებულებებში და არასამთავრობო ორგანიზაციებში. ქვეყნის სხვადასხვა ურნალში ქვეყნდება ორგანული ფერმერობის შესახებ სტატიები, სადაც განიხილება ორგანული ფერმერობის ტექნიკური უზრუნველყოფა, პროდუქციის წარმოება, მარკეტინგი და ეკოლოგიის და სხვა საკითხები.

ავსტრიაში ორგანულ ფერმერთა ასოციაციების წევრებს ემსახურებათ სამრჩევლო სამსახურები, მათ ასევე მომსახურებას უწევენ სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებიც, რომლებიც ძირითადად ორიენტირებულები ბიომეურნეობაზე არიან. ორგანულ ფერმერთა ასოციაციების მიერ გამოიცემა ურნალები, სადაც იბეჭდება ინფორმაციები ორგანული მეურნეობების შესახებ. ორგანული მეურნეობების გაზრდის შემდეგ, ავსტრიაში მრჩევლების დეფიციტია, თან მცირე ასოციაციებს არ აქვთ შესაბამისი ფინანსური რესურსები მრჩევლთა დასაქირავებლად. შესაბამისად, ასოციაციის ხელმძღვანელობას უწევთ რომ სამრჩევლო მომსახურება თვითონ აწარმოონ გამოცდილი ფერმერების დახმარებით, რაც ანაზღაურების გარეშე სრულდება.

ბოლო წლებში ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარებამ ავსტრიაში როგორც აღმასვლები ასევე ვარდნები განიცადა. 2000-2001 წლებში როდესაც პირველი 5-წლიანი აგროგარემოსდაცვითი პროგრამა დასრულდა, მას ახალი პრობლემები მოჰყვა. ფერმერების უმეტესობა პროდუქტების გაყიდვების პრობლემების გამო, ტრადიციულ მეურნეობებს დაუბრუნდა. ამ ფაქტიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ სამთავრობო სუბსიდიები არაა საკმარისი ბიომეურნეობების გასავითარებლად. ძირითადი პრობლემა ისევ და ისევ მომხმარებელთა განათლების დაბალი დონეა, ორგანული მეურნეობის კუთხით. ბიომეურნეობაზე მომხმარებელთა

გათვიცნობიერებისთვის და დაინტერესების გასაზრდელად საჭიროა ბევრი მუშაობა, განათლების თვალსაზრისით.


2003 წლის დასაწყისიდან ძირითადი ორგანიზაციები ცდილობენ მდგომარეობის რადიკულად შეცვლას, ისინი ერთიანდებიან ერთ ასოციაციაში სახელწოდებით “Bio Austria”. მათი მიზანია განახორციელონ სამრჩევლო და საინფორმაციო მომსახურება, ხარისხის მართვა, მარკეტინგი და სხვა მომსახურებები უფრო ეფექტიანად, რაც, მწარმოებლებისთვის მომსახურების გაუმჯობესებას უზრუნველყოფს, ხოლო მომხმარებლისათვის უსაფრთხოებისა და პროდუქციის ხარისხის დონის ამაღლებას. ორგანული სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისთვის გასათვალისწინებელია ევროგაერთიანებაში სოფლის მეურნეობის საერთო მდგომარეობა.

[წყარო: [https://www.organic-europe.net/country\\_reports/austria/default.asp](https://www.organic-europe.net/country_reports/austria/default.asp)]

დიაგრამა №1 -ზე მოცემულია ავსტრიაში, ორგანული მიწის ფართობის მოცულობა წლების მიხედვით. სადაც ჩანს, რომ ორგანული მიწის ფართობი ყველაზე მაქსიმუმს (620 763 ჰა.) 2017 წელს აღწევს, ხოლო დიაგრამა №2-ზე(იხ.დანართი N1) მოცემულია გაყიდვები წლების მიხედვით, სადაც ჩანს რომ ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ასევე 2017 წელს არის. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ შემდგომ წლებში კიდევ უფრო მოიმატებს ორგანული მიწის ფართობი და გაყიდვების რაოდენობა.

დიაგრამა №1

## ორგანული მიწის ფართობი (ავსტრია)



[წყარო:[https://statistics.fibl.org/europe/areaeurope.html?tx\\_statisticdata\\_pi1%5Bcontroller%5D=Element2Item&cHash=72cfbc753cb538a4b246661c521cf598](https://statistics.fibl.org/europe/areaeurope.html?tx_statisticdata_pi1%5Bcontroller%5D=Element2Item&cHash=72cfbc753cb538a4b246661c521cf598)]

## უნგრეთი

1980-იან წლებში უნგრეთში საფუძველი ჩაეყარა ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარებას. პირველი ორგანული მეურნეობა დაარსდა 1983 წელს. თავდაპირველად, შიდა ბაზრის სისუტის გამო, მისი განვითარება საკმაოდ ნელა მიმდინარეობდა. ბიომეურნეობის მნიშვნელოვნად გაზრდა 1995 წლიდან დაიწყო, რაც გამოიწვია ბიოპროდუქციის საექსპორტო პოტენციალის სწრაფმა ზრდამ. გამომდინარე იქიდან, რომ "IFOAM"-ის (ორგანული სოფლის მეურნეობის მოძრაობის საერთაშორისო ფედერაცია) პროგრამით აკრედიტაციამ ქვეყანაში გამოიწვია დასავლეთის მაკონტროლებელი ორგანოების საქმიანობის გაფართოება, უნგრეთი მესამეული ქვეყნების ნუსხაში აღმოჩნდა. ქვეყანაში არსებული სახნავ-სათესი მიწების დაახლოებით 67% გამოიყენება სოფლის მეურნეობაში. უნგრეთი დღემდე არის აგრარული ქვეყანა. ამ სექტორში დასაქმებულია ქვეყნის სამუშაო ძალის 7,9% და იწარმოება მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 6.6%-ს. 1999 წელს ორგანული ფერმების რაოდენობა 451 იყო. მცენარეული ბიოპროდუქტები ძირითადად არის მარცვლეული, კერძოდ კი ხორბალი. ასევე აწარმოებენ სამკურნალო მცენარეებს. კარგად არის განვითარებული გადამამუშავებელი სტრუქტურები. ფერმების მოცულობა ოციდან სამოცდაათ ჰექტრამდე მერყეობს, ხოლო ქვეყნის სამხრეთ აღმოსავლეთში ნაწილში სადაც საუკეთესო ნიადაგია, მათი საშუალო ზომა 200 ჰექტარს აჭარბებს. უნგრეთში ბიომეურნეობის პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი ორგანიზაცია არის "ბიოკულტურა" (Biokultura club). ის IFOAM-ის სრულუფლებიანი წევრია ცენტრალურ-აღმოსავლეთ ევროპიდან. „ბიოკულტურა“ მოიცავს 48 რეგიონულ ქვეორგანიზაციას და მეზობელ ქვეყნებში არსებულ 6 დაქვემდებარებულ ორგანიზაციას. ბუდაპეშტში 1990 წელს ევროგაერთიანების დახმარებით შეიქმნა ორგანული სოფლის მეურნეობის

საინფორმაციო ცენტრი. მისი ფუნქციაა დაეხმაროს ფერმერებს და მომხმარებლებს სათანადო ინფორმაციის მიღებაში. ამ ცენტრს გააჩნია ბიომეურნეობების შესახებ მონაცემთა ბაზა, ასევე ბიბლიოთეკა და არქივი. ორგანული სოფლის მეურნეობის საექსპორტო პოტენციის გამო, უნგრეთის ხელისუფლება ხელს უწყობს ამ დარგის განვითარებას. გაყიდვების პროცესში რეალური დახმარების გარდა, სახელმწიფო ხელშეწყობაში იგულისხმება უნგრეთის მაკონტროლებელი სისტემის დადგენილებასთან შესაბამისობაში მოყვანა და ევროკავშირის მიერ მის აღიარებაზე განეული ძალისხმევა. თუმცა, სახელმწიფო ნაკლებად აქცევს ყურადღებას ბიოპროდუქტების შიდა ბაზრის განვითარებას. 1998 წლიდან ბიო ფერმერებისათვის ხელმისაწვდომი გახდა სახელმწიფოს მხრიდან პირდაპირი ფინანსური დახმარებები: ანალიზებისა და კონსულტაციების ღირებულება სავარაუდოდ მთლიანად ანაზღაურდება სახელმწიფოს მიერ. სხვა ხარჯები, მაგალითად როგორც არის სპეციალური მანქანა-დანადგარების შექმნა, დაუმუშავებელი სათესლე მასალა და სხვა – შეიძლება 40%-ით დაფინანსდეს. თუ ფერმერს ხელშეკრულება დადებული აქვს Biokultura-სთან, მაშინ კონტროლისა და სერტიფიცირების თანხებსაც სახელმწიფო ანაზღაურებს, მომავალში იგეგმება ფერმერებისათვის პირდაპირი ფინანსური დახმარებები ახალი აგრო-გარემოსდაცვითი სექტორის შესაბამისად.

კონტროლი და სერტიფიცირება უნგრეთში 1996 წლიდან ტარდება, მაკონტროლებელი ორგანო "ბიოკონტროლის უნგრული კომპანია საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის" ("Biokontroll Hungaria Company for the Public Benefit") მიერ, რომელიც დააარსა Biokultura-მ. „EU-regulation 2092/91 დადგენილების შესაბამისად უნგრეთის მთავრობის მიერ Biokontroll Hungaria-ს როგორც კერძო მაკონტროლებელი ორგანოს აკრედიტაციამ მისი სერტიფიკატი ევროპის ბაზარზე კონკურენტუნარიანი გახდა. ამასთან

Biokontroll Hungaria უცხოურ ორგანიზაციებთან შედარებით გაცილებით ხელსაყრელ პირობებში აღმოჩნდა, რამდენადაც მას, როგორც ადგილობრივ ორგანიზაციას, სერტიფიკატის გაცემა ბევრად იაფი უჭდებოდა. 1998 წელს უნგრეთის ორგანული მწარმოებლებისა და გადამამუშავებლების 90% შემონმებულ იქნა "Biokontroll Hungaria"-ს მიერ. Biokultura-ს ფერმები 1996 წლიდან კონტროლდება მხოლოდ "Biokontroll Hungaria GG"-ს მიერ“.

[წყარო:[https://www.organic-europe.net/country\\_reports/hungary/default.asp](https://www.organic-europe.net/country_reports/hungary/default.asp)]

1996 წლიდან უნგრეთი ევროკავშირის მესამეული ქვეყნების ნუსხაშია. რაც აადვილებს ბიოპროდუქციის ექსპორტს ევროკავშირის ქვეყნებში. 1999 წელს უნგრული ბიოპროდუქცია ევროპის მრავალ ქვეყანაში გავიდა. ექსპორტის მთლიანმა მოცულობამ შეადგინა 15.4 მილიონი ევრო. ბიოპროდუქტები უნგრეთში ძირითადად ჯანსაღი პროდუქციის მაღაზიებსა და სააფთიაქო მაღაზიებში იყიდება. ბიოპროდუქტების მომხმარებლების უმეტესობა, პროდუქცია სპეციალურ მაღაზიებში იძენენ.

ასოციაცია Biokultura-მ მოაწყო მარკეტინგის სემინარები ფერმერებისთვის, როგორც უნგრეთში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც. ასოციაციას დიდი ფინანსური დახმარება აღმოუჩინა გერმანულმა ორგანიზაციამ mGruner Zweig-მა. მარკეტინგის გზების შესასწავლად დაიგეგმა და მოეწყო ექსკურსიები გერმანიაში, შვეიცარიაში და ავსტრიაში. სახელმწიფო დონეზე ჩატარდა სემინარები, რომლებიც ეხებოდა ტექნიკურ საკითხებს (წარმოება, მცენარეთა დაცვა და სხვა.)

ბუდაპეშტის მეხალეობისა და კვების მრეწველობის უნივერსიტეტში ეკოლოგიური და მდგრადი წარმოების სისტემების დეპარტამენტს აქვს თავისი კათედრა. დეპარტამენტმა თავდაპირველად ორგანული სოფლის მეურნეობა

სასწავლო პროგრამაში შეიტანა როგორც ერთ-ერთი ფაკულტეტური საგანი, ხოლო შემდგომ ის აუცილებელი საგანი გახდა. ორგანული სოფლის მეურნეობის შესახებ კვლევები ტარდება ასევე Odollo-ს უნივერსიტეტში, სადაც არსებობს ორგანული სოფლის მეურნეობის კათედრა.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს გააჩნია ორგანული სოფლის მეურნეობის ექსპერტების ნუსხა. რჩევები ძირითადად ესაჭიროებათ სახელმწიფო დახმარების მისაღებად, საჭირო განაცხადის ფორმის შესადგენად.

უნგრეთშიც, როგორც აღმოსავლეთ-ევროპის სხვა ქვეყნებში, ძირითადი პრობლემა აქაც ბიოპროდუქტების ინტერესის ნაკლებობაა. კვლევებში ჩანს, რომ უნგრეთში ბიოპროდუქტების მომხმარებელთა უმრავლესობა სხვადასხვა ავადმყოფობით დაავადებული ადამიანია, რომელიც ცდილობს შეარჩიოს შესაბამისი საკვები. ხოლო რაც შეეხება გარემოსდაცვით პრობლემებს, პასუხისმგებლობის გრძნობა ძალიან დაბალია, რადგან მომხმარებლებს არ აქვთ შეგნებული და გააზრებული, რომ სოფლის მეურნეობა გარემოს მთავარი დამაბინძურებელი ფაქტორია. კვლევებით ასევე დადგინდა, რომ ბიოპროდუქტების მომხმარებლები განათლების უფრო მაღალი დონით გამოირჩევიან და შემოსავალიც მაღალი აქვთ. ისინი ასევე ერკვევიან სერტიფიცირების სისტემებშიც, და მათ ინტერესში შედის, რომ ბიოპროდუქცია იყოს სერტიფიცირებული. კვლევის შედეგად გაირკვა რომ უნგრეთის მოსახლეობის დაახლოებით 30% ბიოპროდუქტებს მოიხმარს. თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კვლევაში მონაწილეების შერჩევა არ იყო წარმომადგენლობითი და შესაბამისად სურათი ზუსტი ვერ იქნება. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გამოკვლევებმა ასევე გამოავლინა მომხმარებელთა გაუცნობიერებლობაც, მათმა უმრავლესობამ არ იცოდა რას ნიშნავს ტერმინი "ორგანული", „ბიო“ და „ეკო“. უნგრეთში აშკარად შეინიშნება მარკეტინგული

საქმიანობის ხარვეზები. რეალურად უნგრეთს არ გააჩნია ბიოპროდუქტების ბაზარი, რაც იმის მანიშნებელია, რომ ინარმოება ან წინასწარ დაკვეთილი ან მოთხოვნილი ბიოპროდუქცია. პროდუქციის გასაღების პრობლემების და ფინანსების სიმცირის გამო არ აქვთ საკმარისი სარეზერვო კაპიტალი, რათა დააფინანსონ სარისკო პროდუქციის წარმოება. უნგრეთში ბიოპროდუქტების წარმოების ძირითადი მიზანი ამ პროდუქტების ექსპორტია. შესაბამისად გამოდის, რომ ბიოპროდუქტებით შიდა ბაზრის მოთხოვნები ვერ კმაყოფილდება. ექსპორტის შედეგიანობას ორი სახე აქვს, უცხოეთიდან დიდი მოთხოვნა ძალიან კარგია და ამავე დროს მომგებიანია წარმოების განვითარებისათვის, თუმცა მეორე მხრივ, უცხოურ ბაზრებზე ბიოპროდუქტების მაღალი ფასები, ზრდის პროდუქტის ფასს ქვეყნის შიდა ბაზარზეც, რაც იწვევს შიდა ბაზრის განვითარების შეფერხებას. იმისათვის, რომ წარმოება და გაყიდვები შესაბამისობაში იყოს, საჭიროა გაიზარდოს მწარმოებლები და ორგანულად დამუშავებული მიწის ფართობი. საექსპორტო ბაზრის მოთხოვნა უფრო ერთგვაროვანი პროდუქტების დიდი რაოდენობაა, როცა შიდა ბაზრისათვის აუცილებელია პროდუქციის მრავალფეროვნება. ამიტომ შიდა ბაზრის აღორძინებისთვის, უმჯობესია მცირე და საშუალო ზომის ფერმების გაძლიერება და ამ კუთხით მათი გამოყენება.

შიდა ბაზარს კიდევ მრავალი პრობლემა გააჩნია. სუპერმარკეტებისა და ჰიპერმარკეტების წინ წამოწევამ გამოიწვია მცირე სავაჭრო ობიექტების გაკოტრება. მათ გადასარჩენად საჭიროა ბიოპროდუქტებისთ ვაჭრობაზე გადასვლა. პრობლემაა ასევე ისიც, რომ ევროპის ქვეყნების სუპერმარკეტები როგორც წესი გაყიდვის შემდგომი გადახდის სისტემით მუშაობენ. ისინი, პროდუქციის საფასურს, 60-90 დღის დაგვიანებით იხდიან, რაც წარმოუდგენელი და მიუღებელია მცირე მეურნეებისათვის, რომელთაც მუდამ ფინანსების




ნაკლებობა აქვთ. მეორე მხრივ, ბიოფერმერები არ არიან შესაბამისად აღჭურვილები და მომზადებულები იმისათვის, რომ დააკმაყოფილონ სუპერმარკეტების მოთხოვნილებები პროდუქციის ხარისხის ერთგვაროვნებისა და მრავალფეროვნების უზრუნველყოფით.

[წყარო: [https://www.organic-europe.net/country\\_reports/hungary/default.asp](https://www.organic-europe.net/country_reports/hungary/default.asp)]

დიაგრამა №3 -ზე მოცემულია უნგრეთში, ორგანული მიწის ფართობის მოცულობა წლების მიხედვით. სადაც ჩანს, რომ ორგანული მიწის ფართობი ყველაზე მაქსიმუმს (199 683 ჰა.) 2017 წელს აღწევს, ხოლო დიაგრამა №4-ზე (იხ.დანართი N1) მოცემულია გაყიდვები წლების მიხედვით, სადაც ჩანს რომ 2013-2017 წლებში შენარჩუნებულია გაყიდვების მაღალი მაჩვენებელი. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ შემდგომ წლებში მინიმუმ შენარჩუნდება მაინც გაყიდვების და ორგანული მიწის ფართობის მაღალი მაჩვენებელი.

დიაგრამა №3



[წყარო: [https://statistics.fibl.org/europe/areaeurope.html?tx\\_statisticdata\\_pi1%5Bcontroller%5D=Element2Item&cHash=72cfbc753cb538a4b246661c521cf598](https://statistics.fibl.org/europe/areaeurope.html?tx_statisticdata_pi1%5Bcontroller%5D=Element2Item&cHash=72cfbc753cb538a4b246661c521cf598)]

## ესტონეთი

ესტონეთში სოფლის მეურნეობაში გამოყენებული მიწების წილი საკმაოდ დაბალია და სოფლის მეურნეობის სექტორის მდგომარეობაც არცთუ სახარბიელო. შრომის ანაზღაურება ქვეყანაში არსებული საშუალო შრომის ანაზღაურების ნახევარზე ოდნავ მეტია; ფასები არ არის სტაბილური და ხშირად პროდუქციის თვითღირებულებაზე მცირეა. სწორედ ასეთმა ვითარებამ და მიწის პრივატიზაციის ჯერ კიდევ მიმდინარე პროცესმა განაპირობა, რომ სახნავ-სათესი მიწებისა და საძოვრების დაახლოებით 24% გამოუყენებელია.

დღეისათვის სოფლის მეურნეობაში არსებული ვითარება ფრიად ხელსაყრელია ორგანული სექტორის განვითარებისათვის.

ესტონეთში ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარების ისტორია 1989 წლიდან, "ესტონეთის ბიო-დინამიკური ასოციაციის" ("Estonian Bio-dinamic Assosiation"- EBA) დაარსებით დაიწყო. 1990-იანი წლების დასაწყისში EBA-მ, დანიური შვედური და გერმანული ბიო-დინამიკური და ორგანული ფერმერობის ასოციაციებთან თანამშრომლობით მოაწყო სპეციალური საწვრთნელი კურსები. რამდენიმე ფერმერმა გაიარა პრაქტიკული წვრთნა ზემოთჩამოთვლილ სამ ქვეყანაში. დაარსდა ორგანულ მწარმოებელთა რამდენიმე ადგილობრივი ორგანიზაცია. 1990-იანი წლების შუა პერიოდში შენელდა როგორც ორგანული მეურნეობის განვითარების, ასევე ტრენინგული საქმიანობის ტემპი.

შემდგომი ზრდა ორგანულ სოფლის მეურნეობაში აღინიშნა 1997/1998 წლებში. 1997წელს ძალაში შევიდა "კანონი ორგანული ფერმერობის შესახებ" ("Organic Farming Act"), 1998 წელს კი ამ კანონის შესაბამისად შემოღებულ იქნა სახელმწიფო სასაქონლო ნიშანი "Mahemark". 2001 წელს ორგანული წესით დამუშავებული ფართი ორჯერ \_ 20 000 ჰა-მდე გაიზარდა. ასეთი სწრაფი ზრდა განპირობებული იყო როგორც 1999-2001 წლებში ჩატარებული ინტენსიური ხელშეწყობი სამუშაოებით, ასევე ორგანული მეურნეობების განვითარებაში სახელმწიფო დაინტერესების ამაღლებით (რაც გულისხმობს რეგიონებში ორგანული ფერმერობის განვითარებისა და ფერმერთა ტრენინგების ხელშეწყობას 2000-2001 წლებში). ორგანულ ფერმათა უმრავლესობა თავმოყრილია ექსტენსიური სოფლის მეურნეობის რეგიონებში, თუმცა 2000-2001 წლებში ცალკეული ფერმების კონვენსია ინტენსიური სოფლის მეურნეობის რეგიონებშიც მოხდა.

ორგანული და კონვერსირებადი ფერმების უმრავლესობა ძირითადად თავმოყრილია სამხრეთ-აღმოსავლეთ ესტონეთში, კუნძულებსა და ქვეყნის დასავლეთ ნაწილში. ბუნებრივი პირობების წყალობით, ეს ტრადიციულად ექსტენსიური სოფლის მეურნეობის ადგილებია და ამდენად, მეურნეობის ორგანულ ფორმაზე გადასვლა აქ შედარებით ადვილია. გარდა ამისა, დამატებით ხელსაყრელ ფაქტორს წარმოადგენენ ძლიერი ლიდერები, რომლებიც ადგილზე უწყობენ ხელს ორგანული ფერმერობის განვითარებას.

ბოლო წლებში ორგანული ფერმების რიცხვი გაიზარდა აგრეთვე, რამდენიმე შედარებით ინტენსიური სოფლის მეურნეობის მქონე მხარეშიც (მაგ.: ტარტუ, ვილიანდი).

ორგანული მეურნეობით სახელმწიფოს დაინტერესება სწრაფად გაიზარდა 1999 წლიდან. 2000 წელს სოფლის მეურნეობის სამინისტროში შეიქმნა გარემოს დაცვის სამმართველო, რომელიც ძირითადად პასუხისმგებელია ორგანულ ფერმერობასა და აგროგარემოსდაცვით საკითხებზე. გარკვეული ფულადი დახმარებები განხორციელდა 2000 წელს (სატრენინგო პროექტებისა და საგამომცემლო საქმიანობის თანადაფინანსება). 2000 წლიდან მოყოლებული, სახელმწიფო ორგანულ ფერმერებს ეხმარება მიწის გადასახადის სუბსიდირებით. სუბსიდიები ერთნაირია კონვერსირებადი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისა და ორგანული მეურნეობის მიწებისათვის. თუმცა, ამჟამად განიხილება გარდამავალი (კონვერსიული) პერიოდის უფრო მნიშვნელოვანი სუბსიდირების საკითხი.

მზადდება ესტონეთის აგრო-მრავალფეროვნების დაცვის პროგრამა, რომელიც უნდა პასუხობდეს სოფლის განვითარებაში ევროკავშირის ახალი კანონმდებლობის (EU 1257/99) მოთხოვნებს. 2001 წლიდან მიმდინარეობს ამ პროგრამის გამოცდა ორ საცდელ ფართობზე: ერთი ინტენსიური, მეორე კი

ექსტენსიური სოფლის მეურნეობის რეგიონში. ორგანული ფერმერობა შედის აგრო-მრავალფეროვნების დაცვის პროგრამაში, როგორც მისი განხორციელების ერთ-ერთი საშუალება.

1997 წელს ძალაში შევიდა "კანონი ორგანული ფერმერობის შესახებ" ("Organic Farming Act"), 2001 წელს კი მიღებულ იქნა ახალი "Organic Farming Act", რომელიც სრულ შესაბამისობაშია ევროკავშირის კანონმდებლობასთან.

სახელმწიფოს მხრიდან ორგანული ფერმერობის რეგულირება ესტონეთში დაიწყო 1997 წელს "ორგანული ფერმერობის შესახებ" კანონით. ფერმერებს, რომლებიც საქმიანობენ ამ კანონისა და მისგან გამომდინარე დებულებების და განაწესების შესაბამისად, 1999 წლიდან შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ "Mahemark" სახელმწიფო სასაქონლო ნიშნით. 1999 და 2000 წლებში სახელმწიფომ "Mahemark" სასაქონლო ნიშნის მინიჭების უფლება მისცა ორ ორგანიზაციას: "Estonian Bio-dinamic Assosiation" და Kagu-Esti Bios. ეს ორგანიზაციები წელიწადში ორჯერ ამოწმებენ ფერმებს. სერტიფიცირება წარმოებს სახელმწიფო ზედამხედველობის ქვეშ. სახელმწიფო ზედამხედველობას ახორციელებს ორი ორგანიზაცია: ესტონეთის მცენარეთა ინსპექტორატი (წარმოების სფეროში) და ესტონეთის ვეტერინარიისა და საკვები პროდუქტების ინსპექტორატი (გადამუშავების სფეროში). 2001 წელს ეს სისტემა შეიცვალა ახლით, რომელიც შესაბამისობაშია ევროკავშირის მოთხოვნებთან. ახალი სისტემა სახელმწიფო კონტროლის სისტემაა. მწარმოებლების სერტიფიცირებას ახორციელებენ ესტონეთის მცენარეთა ინსპექტორატი და ესტონეთის ვეტერინარიისა და საკვები პროდუქტების ინსპექტორატი.

ორგანული პროდუქციის მარკეტინგი ესტონეთში ცუდადაა ორგანიზებული. გასაღების ყველაზე გავრცელებული გზებია პროდუქციის უშუალოდ ფერმაში გაყიდვა ან საავადმყოფოების, სკოლების, საბავშვო

ბაღებისა და ადგილობრივი მალაზიების მომარაგება. ძალიან მცირე რაოდენობის ფერმები ყიდიან გადამუშავებულ პროდუქციას. აღსანიშნავია ისიც, რომ ორგანული პროდუქტების დიდი ნაწილი არ იყიდება როგორც ორგანული (მაგ.: მერძეულობის მსხვილი ფერმები არ აცალკევებენ ორგანულ რძეს ჩვეულებრივისაგან), ან იყიდება განმასხვავებელი სავაჭრო ნიშნის გარეშე (რამდენადაც მხოლოდ სერტიფიცირებულ ფერმას აქვს სასაქონლო ნიშნის გამოყენების უფლება).

ესტონეთში ფერმერთა ტრენინგის კურსებს ატარებს ორი ორგანიზაცია (“Estonian Bio-dynamic Association” და “Kagu-Eesti Bios”). რამდენიმე სატრენინგო პროექტი განხორციელდა დანიასთან თანამშრომლობით. 1999, 2000 და 2001 წლებში ტრენინგის ზოგიერთი პროგრამის განხორციელება უზრუნველყო სოფლის მეურნეობის სამინისტრომ.

სასოფლო-სამეურნეო პროფილის სასწავლებლებს თავიანთ სასწავლო პროგრამაში შეტანილი აქვთ ორგანული ფერმერობის მნიშვნელოვანი საკითხები. მართალია, ესტონეთის აგრარულ უნივერსიტეტში არ იკითხება ორგანული ფერმერობის სპეციალური კურსები, მაგრამ ზოგიერთი სხვა საგნის (მაგ. მცენარეთა დაცვა, მეცხოველეობა) პროგრამები მოიცავს ორგანული მეურნეობის მეთოდების შესავალ ნაწილს. ერთადერთი სპეციალური კურსი ორგანულ ფერმერობაში მოეწყო 1999 წლის დასაწყისში შვედეთის აგრარული უნივერსიტეტის, ეკოლოგიური ინჟინერიის ცენტრისა და ესტონეთის აგრარული უნივერსიტეტის ერთობლივი ძალისხმევით. უდიდესი ხარვეზებია შესაბამისი საინფორმაციო მასალებით უზრუნველყოფის საქმეში.

გამოცემულია მხოლოდ რამდენიმე ბუკლეტი. ეკოლოგიური ინჟინერიის ცენტრი 1996 წლიდან გამოსცემს ორგანული ფერმერობის ჟურნალს. ჟურნალში ძირითადად იბეჭდება: სტატიები გამოყენებით და პრაქტიკულ ორგანული

ფერმერობის საკითხებზე, ფერმების ანგარიშები, ორგანული მეურნეობის სიახლეები, ახალი ლიტერატურის მიმოხილვა. სხვადასხვა კულტურის მოყვანაზე სპეციალური საინფორმაციო ფურცლები და ორგანული ფერმერობის მოკლე მიმოხილვითი ბუკლეტი გამოიცა ესტონეთ-დანის ერთობლივი პროექტის ფარგლებში. ორგანული სოფლის მეურნეობის სფეროში წარმოებული კვლევები მცირერიცხოვანია, მაგრამ ასეთი კვლევების დიდი მნიშვნელობა კარგად აქვთ გაცნობიერებული შესაბამის ორგანიზაციებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კვლევა მეურნეობებში, მაგ.: თესლბრუნვისა და სახეობების შესარჩევად. ესტონეთის აგრარულმა უნივერსიტეტმა განახორციელა რამდენიმე პროექტი, რომლებიც მოიცავს ორგანულ სოფლის მეურნეობასაც. ყველა ეს პროექტი დაკავშირებულია მცენარეთა დაცვასთან. მომავალ წლებში დაგეგმილია ახალი პროექტების განხორციელება.

ესტონეთში სამი აკრედიტირებული სამრჩევლო ორგანიზაციაა. სამხრეთ ესტონეთში მრავალი ფერმერი წარმატებით იყენებს ამ მომსახურების ხელსაყრელ შესაძლებლობას, მაგრამ ზოგიერთი ფერმერი მაშინაც კი არ იჩენს ინტერესს, როცა მომსახურების ხარჯების ძირითად ნაწილს სახელმწიფო ფარავს.

ფერმერები, რომლებიც ორგანულ მეურნეობებს 1990-იანი წლებიდან უძღვებიან და საკმაო გამოცდილება მიიღეს, სამრჩევლო სამსახურს არ საჭიროებენ. ისინი ხშირად თავად უწევენ კონსულტაციებს რეგიონის სხვა ფერმერებს. 2001 წელს ზემოხსენებული ესტონურ-დანური პროექტის ფარგლებში მოეწყო კურსები და სასწავლო მოგზაურობა დანიაში, ესტონეთ-ფინეთის ერთობლივი პროექტის მიხედვით კი – სემინარი და სასწავლო მოგზაურობა ფინეთში. ტრენინგული საქმიანობისა და ფერმერთათვის

გათვალისწინებული წვრთნების შედეგად აკრედიტირებული მრჩეველების რიცხვი ქვეყანაში მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს.


ესტონეთის სოფლის მეურნეობაში დღეს არსებული სიტუაციის, აგრეთვე, 2000-2001 წლებში ორგანული სექტორის გაფართოებისა და მომხმარებელთა დაინტერესების მაღალი დონის გათვალისწინებით უნდა ვიგულისხმოთ, რომ უახლოეს მომავალში ამ სექტორს სწრაფი განვითარების დიდი პოტენციალი გააჩნია. ამას ისიც გვაფიქრებინებს, რომ გადამუშავებულ პროდუქციას მცირე რაოდენობის ფერმები ყიდიან, გარდა ამისა, ორგანული პროდუქტების დიდი წილი არ იყიდება როგორც ორგანული ან იყიდება განმასხვავებელი სავაჭრო ნიშნის გარეშე. სწორედ ამ პოტენციალზე დაყრდნობით ექსპერტები ვარაუდობენ, რომ რომ 5 წელიწადში ორგანული სოფლის მეურნეობა ესტონეთში სულ მცირე 50%-ით მაინც გაიზარდება.

[წყარო: [https://www.organic-europe.net/country\\_reports/estonia/default.asp](https://www.organic-europe.net/country_reports/estonia/default.asp)]

დიაგრამა №5-ზე მოცემულია ესტონეთში, ორგანული მიწის ფართობის მოცულობა წლების მიხედვით. სადაც ჩანს, რომ ყოველ წელს იზრდება ორგანული მიწის ფართობის მოცულობა, ხოლო მაქსიმუმს (196 ჰა. 1000 ჰექტარზე) 2017 წელს აღწევს. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ შემდგომ წლებში კიდევ უფრო მოიმატებს ორგანული მიწის ფართობი.

დიაგრამა №5





[წყარო:[https://statistics.fibl.org/europe/areaeurope.html?tx\\_statisticdata\\_pi%5Bcontroller%5D=Element2Item&cHash=72cfbc753cb538a4b246661c521cf598](https://statistics.fibl.org/europe/areaeurope.html?tx_statisticdata_pi%5Bcontroller%5D=Element2Item&cHash=72cfbc753cb538a4b246661c521cf598)]

### აზერბაიჯანი

აზერბაიჯანში ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარება უშუალოდ უკავშირდება ეკონომიკის და განსაკუთრებით, აგარული სექტორის კრიზისს. ორგანული სოფლის მეურნეობის მოძრაობის დანაწევების მიზნები გახდა ქვეყანაში 90-იანი წლების მეორე ნახევარში აგარული რეფორმების გატარება. ამის შედეგად 873 ათასმა ოჯახმა მიიღო მიწის ნაკვეთები ფართობით 1,5-დან 2 ჰა-მდე.

ახალ ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლას და მიწათსარგებლობის ფორმირებას, სადაც ძირითადად ჭარბობდა წვრილი და განცალკევებული მიწათსარგებლობა, თან ახლდა ისეთი ურთიერთდაკავშირებული პრობლემები, როგორცაა: საკუთარი ფულადი სახსრების და მდგრადი დაფინანსების წყაროების უქონლობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უქონლობა, შიდა და გარე ბაზარზე გასვლის შეზღუდულობა, ენერჯის სიძვირე და მიწოდების შეზღუდულობა, საკონსულტაციო-საინფორმაციო სამსახურის უქონლობა და ა.შ. ყოველივე ამან კი ხელი შეუწყო ორგანული სოფლის მეურნეობის მოძრაობის განვითარების დაჩქარებას.

ამ პირობებში ფერმერებისთვის ჩიხიდან გამოსვლის ერთადერთი რაციონალური ვარიანტი იყო საუკუნეებით გამოცდილი მიწათმოქმედების ტრადიციულ მეთოდებთან დაბრუნება. ეს კი ორგანული სოფლის მეურნეობის მოძრაობის პიონერების – მეცნიერების მცირერიცხოვანი ჯგუფის და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების ძალისხმევამ განაპირობა.

აზერბაიჯანის სახელმწიფო აგრარულ უნივერსიტეტში 2007 წლიდან დაიწყო კადრების მომზადება სპეციალობაში „ეკოლოგიური სოფლის მეურნეობის მენეჯმენტი“, შეიქმნა ნიადაგმცოდნეობის და ეკოლოგიური სოფლის მეურნეობის კათედრა.

2008 წლის აგვისტოში აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცდა კანონი „ორგანული სასოფლო-სამეურნეო წარმოების შესახებ“, რესპუბლიკის მთავრობამ დაამუშავა შესაბამისი ნორმატიული აქტებიც. 2012 წლისათვის აზერბაიჯანში ეკოლოგიური მიწათმოქმედების ფართობი შეადგენდა 20 ათას ჰა-ზე მეტს, ხოლო ორგანული მთლიანი პროდუქციის ღირებულება – 21,6 მლნ აშშ დოლარს. რესპუბლიკა ეკოლოგიურ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში სტანდარტების დაცვის სისწორეს ახორციელებს აგრობიზნესის განჯის ასოციაციის მხარდაჭერით. 2005 წლის ბოლოს შექმნილი სასერტიფიკაციო ორგანო „აზეკოსერტი“ დღეისათვის ერთადერთი არასამთავრობო ორგანიზაციაა ეკოლოგიური სოფლის მეურნეობის კონტროლსა და სერტიფიკაციაში.

ექსპორტის პოტენციური ეკოლოგიური პროდუქტებია: თხილი, მშრალი ხილი, ბროწეული და მისი სუბპროდუქტები, მრავალრიცხოვანი სამკურნალო მცენარეები და ველური ხილი და კენკრა, სემონური ბოსტნეულის დიდი ასორტიმენტი და ა.შ. ქვეყანაში ეკოლოგიური სოფლის მეურნეობის

გათართობა და განვითარება იგეგმება სამამულო ეკოლოგიური პროდუქტების ადგილობრივი ბაზრის განვითარების, ეკოფერმერების რეგიონალური ასოციაციის შექმნის და ფერმერების საკონსულტაციო-საინფორმაციო ბადის განვითარების გზით, ეკომეურნეობის სტიმულირებისთვის სახელმწიფო საფინანსო მხარდაჭერის ლობირებით, შეღავათიანი სუბსიდირების სახით, და სხვ. 2002 წლიდან აგრობიზნესის განჯის ასოციაცია გახდა INFOAM წევრი და აქტიურ მონაწილეობას იღებს ახალი დოკუმენტების დამუშავებაში (სტანდარტები, დებულებები, წესები და ა.შ.), და აგრეთვე მონაწილეობს მოძრაობის საერთაშორისო ფორუმებში. 2005 წლიდან აგრობიზნესის განჯის ასოციაცია მონაწილეობას იღებს ეკოლოგიური პროდუქციის გამოფენა-ბაზრობაზე, რომელიც ტარდება ნიურბერგში (გერმანია), ხოლო 2010 წლიდან აქვს აზერბაიჯანის ეკოპროდუქციის დემონსტრირებისთვის საკუთარი სტენდი. 2005 წლიდან, აგრობიზნესის განჯის ასოციაცია არის ორგანული საზოგადოება „ავალონის“ წევრი და აქტიურად მონაწილეობს მრავალ კონფერენციაში და ასრულებს ერთობლივ პროექტებს აზერბაიჯანში.

ეკოლოგიური სოფლის მეურნეობის მოძრაობის განვითარებაში მნიშვნელოვანია ყველა საშუალება და ინფორმირების მეთოდები. 2006 წლიდან გამოიცემა პერიოდული ჟურნალი „ეკოლოგიური სოფლის მეურნეობა“, რომელიც უფასოდ ვრცელდება დაინტერესებული აუდიტორიის ფართო წრეში, მათ შორის აზერბაიჯანის რესპუბლიკის აპარატში, მილი მეჯლისის (პარლამენტის) აგრარული განვითარების და ეკონომიკური პოლიტიკის კომისიებში, სოფლის მეურნეობის, ეკოლოგიის და ბუნებრივი რესურსების, ჯანდაცვის სამინისტროებში, ეროვნული აკადემიის ინსტიტუტებში, სოფლის მეურნეობის დარგობრივ სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტებში, შესაბამის უმაღლეს სასწავლებლებში, რაიონების ადმინისტრაციულ ორგანოებში,

მრავალრიცხოვან თერმერებში, აგრობიზნესის განჯის ასოციაციის წევრებს შორის. ამის გარდა, ასოციაცია ატარებს თერმერების განათლების მიზნობრივ ტრენინგებს, აწყობს ტელეგადაცემებს, რომელიც ეძღვნება ეკოლოგიური სოფლის მეურნეობის და მისი პროდუქციის უპირატესობას და ა.შ.

2019 წელს აზერბაიჯანის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, სახელმწიფო პროგრამაში ოფიციალურად ჩართო, ორგანიკას, სასუქების და პრეპარატების წარმოება.

## **სომხეთი**

სომხეთში ორგანულ სოფლის მეურნეობას, როგორც სოფლის მეურნეობაში ახალ მიმართულებას, საფუძველი ჩაეყარა 1990-იანი წლების ბოლოს და 2000 წლების დასაწყისში ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით, როგორცაა USDA, FAO, WB და სხვ. ერთის მხრივ, ეკონომიური კრიზისი და სასუქების სიძვირე და, მეორე მხრივ, ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის(თაფლი, ხილი, ბოსტნეული, მარცვლოვანი, ძროხის და თხის რძე და ა.შ.) მისაწვდომობა გახდა ქვეყანაში ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარების საფუძველი. შესაბამისი კანონმდებლობის უქონლობა, ღარიბი ინფრასტრუქტურა, კორუფცია, დიდი მანძილები და მაღალი თვითღირებულება ამუხრუჭებენ ორგანული სოფლის მეურნეობის ფართომასშტაბიან დანერგვას.

მიუხედავად ამ პრობლემებისა, მრავალი არასამთავრობო ორგანიზაციის საქმიანობის შედეგად ორგანული სოფლის მეურნეობა, პროდუქცია, მარკეტინგი და სხვ. უკვე წარმოდგენენ რეალობას. მოსალოდნელია ფერმების წარმადობის ზრდა სასოფლო რეგიონებში, განსაკუთრებით მთის რაიონებში, ახალი საექსპორტო შესაძლებლობების გაფართოვება. 2006 წელს ორგანული სოფლის მეურნეობა იყო 600 ჰა-ზე, ხოლო 2010 წლისთვის ეს მაჩვენებელი გაიზარდა და შეადგინა თითქმის 2000 ჰა.

ორგანული (ეკოლოგიური) აგრარული განათლების და სამეცნიერო კვლევების ელემენტების განვითარება დაიწყო ჯერ კიდევ 1999 წელს, როდესაც სომხეთის სახელმწიფო აგრარულ უნივერსიტეტში გაიხსნა აგროეკოლოგიის კათედრა. საგანმანათლებლო პროცესის პარალელურად სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო ცენტრებში და სომხეთის სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურაში, განსაკუთრებით აგრო-საკონსულტაციო დეპარტამენტში, მიმდინარეობდა გამოყენებითი სამეცნიერო საქმიანობა USDA, FAO და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მეთოდური და ფინანსური დახმარებით.

ორგანული სოფლის მეურნეობის საგანმანათლებლო (სასწავლო) საკითხები წარმოდგენილია სომხეთის სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამის აგროეკოლოგიის კათედრის 4 მთავარ საგანში: „აგროეკოლოგია და ბუნების დაცვა“, „გარემოს დაცვა“, „აგროეკოლოგიური მონიტორინგი“ და „ბიოსფეროს ქიმია“. ორგანული სოფლის მეურნეობის ზოგიერთი საკითხი წარმოდგენილია მემცენარეობის და სასოფლო-სამეურნეო მანქანების კათედრებზე.

ორგანული აგრარული განათლების განვითარება დაჩქარდა და მიზანმიმართული გახდა უკანასკნელი 3-4- წლის მანძილზე სომხეთის

სახელმწიფო აგარარული უნივერსიტეტის, კასელის უნივერსიტეტის (გერმანია) და კომერციული კომპანიის „Johannes Fehr GmbH & Co“ (გერმანია) გრძელვადიანი თანამშრომლობის შედეგად.

სომხეთში სოფლის მეურნეობის განვითარება უშუალოდ არის დაკავშირებული ბუნებრივი კომპონენტების (ნიადაგი, წყალი და ატმოსფერო) ხარისხთან. ნარსებობს მრავალი ეკოლოგიური პრობლემა: ეროზია, სელური ღვარები, ნიადაგების ქიმიური დაბინძურება, სათიბების და საძოვრების დეგრადაცია, ბიომრავალფეროვნების დაკარგვა და დაავადებები, რომლებიც სერიოზულად აძნელებენ ქვეყნის მდგრად განვითარებასა და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტას. ამ სიტუაციაში სოფლის მეურნეობის ეკოლოგიზაცია ხდება მთავრობის საქმიანობის მნიშვნელოვანი ამოცანა. ამისათვის, პირველ რიგში, უნდა შემუშავდეს შესაბამისი პოლიტიკა, კანონმდებლობა და პრაქტიული მოთხოვნები მათი რეალიზაციისთვის.

ფართო საზოგადოებას და ფერმერებს მიეწოდება ინფორმაცია გარემოზე მინერალური სასუქების და პესტიციდების, როგორც მძიმე ლითონების წყაროს, ნეგატიური გავლენის შესახებ. ეს აგრეთვე ეხება გარემოზე მცენარეთა დაცვის ქიმიური ელემენტების გავლენას.

კოოპერატიული მოძრაობის და მრავალი ფერმერული ასოციაციის საქმიანობის შედეგად, სოფლის მეურნეობის ეკოლოგიზაცია იძენს სულ უფრო ფართო ხასიათს. საკონსულტაციო სამსახურები, არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვა ორგანიზაციები თავისი პროგრამებით, კავშირებით და სადემონსტრაციო ფერმებით პროპაგანდას უწევენ ორგანული სოფლის მეურნეობის უპირატესობას.

ორგანული სოფლის მეურნეობის უპირატესობის დემონსტრირებისთვის, ორგანული ფერმერების მიერ, ხდება ნულოვანი კულტივირების პრაქტიკის, ორგანული პროდუქციის და ორგანული სასუქების და ა.შ. პროპაგანდა.


მარკეტინგი და ორგანული პროდუქტების გაყიდვა სუპერმარკეტებში და სპეციალური ღონისძიებების, განსაკუთრებით, ეკოლოგიური ბაზრობების დროს, აძლიერებენ მოსახლეობის გათვითცნობიერებულობას ორგანული პროდუქტების მნიშვნელობის შესახებ. უახლოეს მომავალში ეს პროპაგანდა უნდა გაძლიერდეს ეკოლოგიური ფერმებიდან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით მომარაგების გაფართოებით.

„2019 წელს სომხეთის დედაქალაქ ერევანში გაიმართა საერთაშორისო – პრაქტიკული კონფერენცია – „აგრარული ეკონომიკა და ეკოლოგიზაციის პრობლემები“.

ღონისძიებაში მონაწილეობას სხვადასხვა ქვეყნის სოფლის მეურნეობის დარგში წამყვანი სპეციალისტები იღებდნენ. კონფერენციაზე მოხსენებით წარდგა „ბიოაგრო – მცენარეთა ბიოლოგიური დაცვის ცენტრის“ დირექტორი და სპეციალისტი, კარლო კიკორია. მოხსენების მთავარი თემა იყო – „ორგანულ – ბაქტერიული სასუქის „ორგანიკის“ გამოყენების შედეგები ერთწლიან კულტურებში კახეთის რეგიონში და ცენტრალურ შავმიწა ნიადაგებში ვორონეჟის მხარეში“.

[წყარო:[http://bioagro.ge/akhali-ambebi/somkhethshi-gamarthul-saerthashoriso-praqtikul-konpherentsiaze-organikis-shedegianobis-shesakheb.html?fbclid=IwAR1uKQy-U6dmqW1fKSLft5S33LEjBM\\_1FYRomFWORTwqiGtQlv04AYYPoC4](http://bioagro.ge/akhali-ambebi/somkhethshi-gamarthul-saerthashoriso-praqtikul-konpherentsiaze-organikis-shedegianobis-shesakheb.html?fbclid=IwAR1uKQy-U6dmqW1fKSLft5S33LEjBM_1FYRomFWORTwqiGtQlv04AYYPoC4)]

დიაგრამა №6-ზე წარმოდგენილია სამხრეთ კავკასიის რეგიონში ორგანული მიწის ფართობების დინამიკა, რომელიც ზრდის ტენდენციით ხასიათდება და ლიდერობს აზერბაიჯანი.



სამხრეთ კავკასიის რეგიონში არსებული მდგომარეობით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ რეგიონში პერსპექტიულია ბიოპროდუქტების წარმოების განვითარება და სოფლის მეურნეობის პრიორიტეტულ მიმართულებად ჩამოყალიბება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კი, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბიომეურნეობა პერსპექტიული სფეროა აგრო სექტორის განვითარებისთვის. სხვა ქვეყნებში ბიოფერმერების საქმიანობა მაქსიმალურად არის წახალისებული. მთავრობები ბიომეურნეობებს სუბსიდიებითა და სხვა დახმარებებით ამარაგებენ. დასავლეთში ბიოფერმერებს ეხმარებიან ბიოსასუქებით, ბიოპესტიციდებით, ასევე ეხმარებიან, რომ მათი პროდუქცია ბაზარზე შეფერხების გარეშე მოხვდეს. ზემოთ აღნიშნულ მაგალითებზე დაყრდნობით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბიომეურნეობის განვითარება მიღწევადია და ფაქტია, რომ უმეტეს ქვეყნებში ყოველწლიურად იზრდება ორგანული მიწის ფართობები, რაც ერთგვარად არის იმის გარანტია, რომ საქართველოც შეიძლება მოხვდეს ამ ქვეყნების რიგებში და ბიონარმოების



განვითარებაზე ზრუნვის შემთხვევაში, ჩვენი ქვეყნის ორგანული მიწის ფართობის დინამიკაც ზრდის მაჩვენებელი იყოს.

## თავი 5 - ბიომეურნეობის განვითარების პროცესები საქართველოში

საქართველოში ბიოპროდუქტების წარმოება და ჩამოყალიბება ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია "ელკანას" დახმარებით 1994 წლიდან დაიწყო. ამ პროცესის საქართველოში განვითარება საკმაოდ რთულ ეკოლოგიურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ-ეკონომიკურ ფონზე მიმდინარეობდა, რადგან ნიადაგი იყო მასობრივი ქიმიზაციით დაზიანებული,

დაბინძურებული იყო გარემო, საფრთხის წინაშე იდგა ბიოპროდუქტების მრავალფეროვნება, ქვეყანაში მილიონზე მეტი მცირემინიანი გლეხი იყო, რომელთაც არ გააჩნდათ მიწის დამუშავების საშუალება, არ ქონდათ სათესლე მასალისა და მცენარეთა დაცვის საშუალებების შექმნის შესაძლებლობა. მიუხედავად ამდენი წინააღმდეგობისა, "ელკანა" ცდილობდა და დღემდე ცდილობს ბიოპროდუქტების წარმოება მომგებიან, ფერმერულ მეურნეობებად გადააქციოს, რასაც ურთიერთთანამშრომლობისა და გამოცდილების გაზიარების, სოფლის მოსახლეობის გააქტიურებისა და გადანყვეტილების მიღების პროცესში მისი ჩართვის გზით ახერხებს.

„ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“ არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომლის მისიაა ხელი შეუწყოს საქართველოს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და გარემოს დაცვას მდგრადი ბიომეურნეობების განვითარებისა და სოფლის მოსახლეობის თვითაქტივობის გაზრდის გზით.“

[წყარო:<http://www.elkana.org.ge/uploads/annual%202008.pdf>]

მათ მიაჩნიათ, რომ განვითარებული ბიომეურნეობები არის სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის საუკეთესო ფორმა და მისი დამკვიდრება სახელმწიფოსთვის მხოლოდ საღი საკვებისა და გარემოს, მომავალი თაობების ჯანმრთელის საწინდარი კი არ არის, არამედ ის ქვეყნის მზარდი ეკონომიკური პოტენციალია, რომლის განვითარება დიდ დახმარებას გაუწევს სოფლად ძლიერი თემის ჩამოყალიბებას. ამისათვის ისინი თანამშრომლობენ საზოგადოებაში არსებულ ყველა სეგმენტთან. მათი პრინციპებია თანამედროვე აზროვნება რომელიც შესაბამისია ქვეყნის ტრადიციების. ისინი იძიებენ მოვლენების მიზეზებს და ცდილობენ მოსახლეობა აქტიურად ჩართონ ქვეყნის განვითარებაში.

დღევანდელი მონაცემებით ასოციაციაში განწევრიანებულია 450 ბიომეურნე. მათი საერთო ფართობი 1 000 ჰა-მდეა, რაც საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 0.09%-ია. "ელკანა" ორგანული სოფლის მეურნეობის მოძრაობის საერთაშორისო ფედერაციის (IFOAM) წევრია. ასოციაციის სტრატეგიული გეგმაში შედის განვითარებაზე ორიენტირებულ პროგრამული სამუშაოები და ასევე სხვადასხვა სახის მომსახურება ასოციაციის წევრი ფერმერებისთვის და სხვა დაინტერესებული პირებისათვისაც.

ასოციაცია ახორციელებს რამდენიმე ისეთ პროექტს, სადაც წარმოდგენილია პროგრამული საქმიანობის შემდეგი სფეროები:

- აგრობიომრავალფეროვნების დაცვა;
- საქართველოში ბიოპროდუქტების ბაზრის განვითარება;
- აგრომეურნეობის სფეროში კონსულტაციები და რჩევები;
- ბიოპროდუქტების გადამუშავება, მათი რეალიზაცია და მისი მომგებიან ბიზნესად გადაქცევის ხელშეწყობა;
- ახალი ბიოპრეპარატებისა და ტექნოლოგიების გამოცდა, პოპულარიზაცია, მათი გაცნობა და დანერგვა ორგანული სოფლის მეურნეობის სფეროში;
- გადაშენების პირას მყოფი ძველი ქართული ჯიშების აღდგენა და მათი გამოყენება;
- ბიოპროდუქტების მწარმოებლების უფლებების დაცვა და ა.შ.

„ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია "ელკანამ" ჯერ კიდევ 1999 წელს IFOAM-ის საბაზისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად შეიმუშავა და 2003 წელს განაახლა ბიოაგროწარმოების სტანდარტები (რეგისტრირებულია როგორც "მწარმე სუბიექტის სტანდარტი, ბიოლოგიური მეურნეობა, ძირითადი

დებულებები”, მსტ 20545291-001-2004). ამ სტანდარტების დაცვა სავალდებულოა ასოციაციის წევრი ბიომეურნეებისათვის.“

[წყარო:[http://www.parliament.ge/files/415\\_941\\_319510\\_Document8.pdf?fbclid=IwAR0fiXW5mQkANTPgo5S90xejQ1JDWIKFhemB2eQpjsKTc30aw6sXJeko2wY](http://www.parliament.ge/files/415_941_319510_Document8.pdf?fbclid=IwAR0fiXW5mQkANTPgo5S90xejQ1JDWIKFhemB2eQpjsKTc30aw6sXJeko2wY)]

„ბიონარმოების შესახებ“ საქართველოს მთავრობის N198 დადგენილების შესაბამისად, უნდა გავითვალისწინოთ, რომ აუცილებელია პროდუქტების წარმოების და შემდგომი გადამუშავების, ტრანსპორტირების, შენახვის, შეფუთვის, ეტიკეტირებისა და რეალიზაციის პროცესში დაცული უნდა იყოს ბიონარმოების სტანდარტები და ამ ყველაფრის შემდეგ ეტიკეტზე უნდა მიეთითოს წარმომავლობა („ბიოპროდუქცია“ ან ნებისმიერი სიტყვათა კომბინაცია, რომელშიც გამოყენებულია „ეკო“, „ბიო“, „ორგანული“). თუმცა საწარმო ვალდებულია, რომ იქამდე გაიაროს ბიოსერტიფიცირება, სანამ ბიოპროდუქციის წარმოების განხორციელებას შეუდგება და მაშინ, სწორედ ეს იქნება გარანტი იმისა რომ საწარმომ პროდუქციის წარმოების თითოეულ ეტაპზე დაიცვა ბიო სტანდარტები. საქართველოში ბიოსერტიფიცირების განმახორციელებელი ორგანოა შპს „კავკასსერტი“. მის მიერ გაცემულ ბიოსერტიფიკატს იურიდიული ძალა გააჩნია, როგორც საქართველოში, ასევე ევროკავშირის ყველა ქვეყანასა და შვეიცარიაში. „კავკასსერტი“-ს მიერ მონოღებული ინფორმაციის შესაბამისად, საქართველოდან 2016 წელს ექსპორტზე გავიდა დაახლოებით 405 ტონა ორგანული პროდუქტი. აგრეთვე, უნდა აღინიშნოს რომ ქართული აგრო პროდუქტის ძირითადი ბაზარი არის გერმანია.

საქართველოში ბიოლოგიურად სუფთა პროდუქტის ხარისხს როგორც, უკვე აღვნიშნეთ სასერტიფიკატო ორგანო “კავკასსერტი” აღგენს. ასეთი პროდუქციის ფასი რა თქმა უნდა გაცილებით მეტია ვიდრე ჩვეულებრივი

პროდუქციის, შესაბამისად, ევროკავშირის ბაზარზე შესვლის რეალური პერსპექტივა აქვს საქართველოს. ბიომეურნეობების წარმოება და რეალიზაცია ხელს შეუწყობს ბიომრავალფეროვნების, ეკოლოგიური გარემოს შენარჩუნებას, ბიომეურნეობების ეფექტიან გამოყენებას და რაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ქვეყნისთვის, საექსპორტო პოტენციალის გაზრდას.

ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია "ელკანამ" ასევე დაიწყო მუშაობა ბიოპროდუქციის მარკეტინგის საკითხებზე, მათი წევრების მიერ წარმოებულ ბიოპროდუქციას საკუთარი მომხმარებელიც ჰყავს, მაგრამ ბიოპროდუქტების შიდა ბაზარი პრაქტიკულად არ არსებობს.

"ელკანას" მარკეტინგის სამსახურმა ბიოპროდუქციის შიდა ბაზრის პერსპექტივების შესწავლა დაიწყო. მათ მიერ ჩატარდა სემინარები ბიომეურნეობისათვის მარკეტინგის, მეურნეობის მართვისა და ფინანსური ანალიზის საფუძვლების შესახებ; დაიბეჭდა და დარიგდა ინფორმაციული ხასიათის მასალა; შეიქმნა ბიოპროდუქციის საინფორმაციო ბაზა, სადაც განთავსებული იყო ინფორმაცია ბიოპროდუქტების ასორტიმენტის, მოცულობის, ფასის და გასაღებისთვის არსებული გზების შესახებ. "ელკანას" მარკეტინგის სამსახურმა თბილისის ცენტრში მოაწყო ბიოპროდუქტების გამოფენა-გაყიდვა, ბიომეურნეთა პროდუქცია გამოიფინა ასევე ექსპო-ჯორჯიას მიერ თბილისში ჩატარებულ საერთაშორისო გამოფენებზე. მარკეტინგის სამსახურმა ასევე ჩაატარა საქართველოს ბაზრის პირველი კვლევა და შექმნა ბიოპროდუქციის ასორტიმენტისა და ფასების მონაცემთა ბაზა.

ასევე "ელკანამ" გადადგა პირველი ნაბიჯები გარე ბაზარზე გაეტანა ქართული ბიოპროდუქტები. ასოციაციამ მონაწილეობა მიიღო ბიოპროდუქციის მსოფლიო გამოფენაზე (Biofach), რომელიც მსოფლიოს მსგავს ღონისძიებებს შორის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულად ითვლება. ორგანული სოფლის

მეურნეობის სფეროში ბიოპროდუქტების ქართველმა მწარმოებლებმა პირველად შეძლეს განაცხადი გაეკეთებინათ ბიოპროდუქტების ბაზარზე. გამოფენაზე "ელკანამ" წარადგინა: ღვინო, სანელებლები, ხმელი ხილი, თაფლი, თხილი. პროდუქციამ დიდი ინტერესი გამოიწვია.

„2006 წელს საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში დაარსდა ახალი სპეციალობა „ეკოლოგიური სოფლის მეურნეობა და ბუნების დაცვა“. იმავე წელს გერმანელი კოლეგების (უნივერსიტეტის საპატიო დოქტორების, ბუნების დაცვის ფედერალური სააგენტოს პრეზიდენტის, პროფ. ჰ. ფოგთმანის და კასელის უნივერსიტეტის პროფ. ა. პლოგერის) ინიციატივით და ფინანსური დახმარებით აგრონომიულ ფაკულტეტზე შეიქმნა „ეკოლოგიური სოფლის მეურნეობისა და ბუნების დაცვის“ განყოფილება“.

[წყარო: საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“ (2017), ორგანული სოფლის მეურნეობა]

ამიერკავკასიაში ამ მიმართულებით, აგრარული უნივერსიტეტი არის პირველი, განყოფილების მიზანია შეიქმნას საგანმანათლებლო და კვლევითი პროგრამები. ორგანული (ბიოლოგიური, ეკოლოგიური) სოფლის მეურნეობის (ორგანული მეურნეობის და გადამუშავების თვალსაზრისით) და გარემოს დაცვის სფეროში, სადაც ყურადღება იქნება გამახვილებული ბიოპროდუქტების მრავალფეროვნებაზე, ადამიანების ჯანმრთელობაზე და ეკოსისტემების გამართვაზე. ასევე შეისწავლება ეკოლოგიური სოფლის მეურნეობის საფუძვლები, როგორც მდგრადი სოფლის მეურნეობის განვითარების ალტერნატიული გზა

სამრჩველო სამსახურში დღეს 7 მრჩვეელია. მომსახურების მეთოდოლოგია დაფუძნებულია საზღვარგარეთის გამოცდილებაზე, ხოლო

მუშაობის პროცესში მიღებული შედეგების შემდეგ შესაბამისობაში მოვიდა ქართულ რეალობასთან. დღეისათვის ჩამოყალიბებულია თერმერთა საჭიროებაზე მისადაგებული მოქნილი სამრჩევლო სამსახური. მრჩევლებს რეგულარული კონტაქტი აქვთ ასოციაციის წევრებთან და დახმარებას უწევენ მათ, რომ ჩამოაყალიბონ და განავითარონ ორგანული მეურნეობა, ასევე ეხმარებიან ბიომეურნეთა გაერთიანებასა და კოოპერირებაში; ისინი სისტემატიურად ატარებენ თემატურ შეხვედრებსა და სემინარებს. მრჩევლები აგრეთვე ატარებენ ექსპერიმენტებს ბიოლოგიური მინათმოქმედების დარგში და წარმატებული მოდელების დემონსტრირების შემდგომ ახორციელებენ მათ დანერგვას ბიომეურნეობებში.

ბიოაგრონარმოების განვითარება ქვეყნის აგროარული პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა, რაც შესაბამის საკანონმდებლო რეგულირებას საჭიროებს. სწორედ ამიტომ, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში მომზადებული იქნა და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 ივლისის N198 დადგენილებით დამტკიცდა „ბიონარმოების წესები“, რომელიც განსაზღვრავს ბიომეურნეობის მართვის, ბიოპროდუქტის წარმოების, გადამუშავების, ნიშნდების, ეტიკეტირების, დისტრიბუციის, რეალიზაციის, ნებაყოფლობითი სერტიფიკაციის წესსა და მასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, ასევე იძლევა ბიომეურნეობაში/ბიონარმოებაში გამოსაყენებლად ნებადართული ნივთიერებებისა და საშუალებების ნუსხას.

სამწუხაროდ, ბიოლოგიური სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა სახელმწიფო დონეზე ორგანული სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის მიზნით არც სპეციალური ეროვნული პროგრამები და არც სახელმწიფო სუბსიდიები არ ხორციელდება (ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებისაგან

განსხვავებით). თავად ასოციაცია "ელკანა", რომელიც ბიოლოგიური სოფლის მეურნეობის პრინციპების ერთადერთი მიმდევარი და განმახორციელებელია საქართველოში, გრანტების დახმარებით ფუნქციონირებს. მის ძირითად დონორებს წარმოადგენენ: დონორთა კონსორციუმი – EED, MISEREOR — გერმანია, CORRAID — შოტლანდია; გარემოს დაცვის გლობალური ფონდი (GEF), გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) და მრავალი სხვა.

[წყარო:[http://www.parliament.ge/files/415\\_941\\_319510\\_Document8.pdf?fbclid=IwAR0fiXW5mQkANTPgo5S90xejQ1JDWIKFhemB2eQpjsKTc30aw6sXJeko2wY](http://www.parliament.ge/files/415_941_319510_Document8.pdf?fbclid=IwAR0fiXW5mQkANTPgo5S90xejQ1JDWIKFhemB2eQpjsKTc30aw6sXJeko2wY)]

საქართველოში არსებობს „ბიოაგრო-მცენარეთა ბიოლოგიური დაცვის ცენტრი“ რომელიც ნერგავს ისეთ ტექნოლოგიებსა და საშუალებებს, რომელთა მეშვეობითაც ხდება გაცილებით მაღალხარისხიანი, კონკურენტუნარიანი, ეკოლოგიურად სუფთა და ორგანული (ბიო) პროდუქტების მოყვანა. ისინი მომხმარებელს სთავაზობენ, მეურნეობის დეტალურ ანალიზს, კონსულტაციებს და სურვილის შემთხვევაში სწავლებას ბიოტექნოლოგიების დანერგვის შესახებ, ფოტოსანიტარულ მონიტორინგს და მცენარეთა დაცვისა და გამოკვების ბიოლოგიურ საშუალებებს (ბიო პრეპარატები) და სერტიფიცირებულ, უნივერსალურ, თხევად ორგანულ სასუქს “ორგანიკას“. ისინი სერვისებს უმეტეს შემთხვევაში მომხმარებლებს ადგილზე აწვდიან, მეცნიერებისგან შემდგარი მობილური ჯგუფის მეშვეობით. პროდუქციის და სერვისი ფასი მისაღები და ხელმისაწვდომია ნებისმიერი აგრო მწარმოებლისთვის და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია მათი მოსავლის ხარისხი მაღალია და თვითღირებულება არ იზრდება.

„თხევადი ორგანული სასუქი “ორგანიკა” არის ქართული წარმოების სასუქი, რომელსაც მოპოვებული აქვს ორგანული სერტიფიკატი და ოფიციალურად დაშვებულია ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების მოსაყვანად,



როგორც საქართველოში ასევე ევროკავშირში. თხევადი ორგანული სასუქი "ორგანიკა" დამზადებულია მცენარეული ნარჩენებისგან და გამოიყენება, ფესვით და ფესვგარეშე კვებისთვის, ყველა სახის მცენარისთვის – ბოსტნეული, ბალჩეული, მარცვლეული (ხორბალი, ქერი, სიმინდი და ა.შ.), ყვავილები, გაზონის ბალახი და სხვა;

[წყარო:<http://bioagro.ge/shop/organika.html>]

საქართველოში „ბიოაგრო-მცენარეთა ბიოლოგიური დაცვის ცენტრი“ არის პირველი ორგანიზაცია ბიოტექნოლოგიების წარმოებასა და დანერგვაში. ყველა პრეპარატი იწარმოება საქართველოში.

ცნობილია, რომ სინთეზური შხამქიმიკატების მუდმივი გამოყენება ნიადაგში არსებული სასარგებლო მიკროორგანიზმების განადგურებას იწვევს. გარდა ამისა, იზრდება გამძლეობა მავნე ორგანიზმების ქიმიური პესტიციდების მიმართ, რის გამოც მწარმოებლები იძულებულნი არიან სულ უფრო დიდი დოზებით გამოიყენონ ქიმიური პრეპარატები, ეს კი დიდი სისწრაფით ანადგურებს ჩვენს მიწა-წყალს და ჯანმრთელობას. სწორედ ამ ფაქტორებმა გამოიწვია მსოფლიოში ბიომიმართულების ინტენსიური განვითარება.

[წყარო: [www.bioagro.ge](http://www.bioagro.ge)]

[წყარო: საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“ (2017), ორგანული სოფლის მეურნეობა]

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ევროპელი ფერმერისაგან განსხვავებით ქართველ ბიოფერმერს თითქმის არ აქვს ხელშეწყობა. ევროპაში ბიოფერმერი თავის ნაწარმში 20-30%-ით უფრო მეტ მოგებას იღებს, საქართველოში კი, ჯერჯერობით ეს მაჩვენებელი

გაცილებით ნაკლებია. საქართველოში სოფლის მეურნეობაში დასაქმებულებს აქვთ, ასევე, მწირი ინფორმირების პრობლემა. მათ ნაწილმა ძალიან ცოტა იცის ბიოპროდუქტების შესახებ, დანარჩენებს კი არც კი სმენიათ. ამის გამო, ფერმერების დიდი ნაწილი სერტიფიცირებაზეც უარს ამბობს, რადგან ეს მათთვის დამატებითი ხარჯია. უცხოური ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ბიოფერმერებისთვის სუბსიდირებას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს, შესაბამისად ქართველი ფერმერებს მთავრობის მხარდაჭერის გარეშე ამ სფეროში შედეგის მიღწევა ძალიან გაუჭირდებათ. მსოფლიოს ტრენდი გვიჩვენებს, რომ ბიოპროდუქტების წარმოების საჭიროებასა და აუცილებლობაზე.

საქართველოში ორგანული მეურნეობის განვითარება ერთგვარ ფუფუნებად შეიძლება მოგვეჩვენოს, მისი ეკონომიკური მდგომარეობის გამო, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ბიომეურნეობაზე გადასვლა არამარტო ჯანსაღი გარემოსა და ჯანსაღი საკვების საწინდარია, არამედ მას მზარდი ეკონომიკური პოტენციალიც გააჩნია, ცხადია, საინტერესო და ძალიან მნიშვნელოვანია ამ სფეროში უცხო ქვეყნების გამოცდილების გაცნობა. უამრავმა ქვეყანამ, სწორად განხორციელებული სახელმწიფო პოლიტიკის შედეგად, მნიშვნელოვნად გაზარდეს და განავითარეს ბიოპროდუქციის წარმოება.

## თავი 6 - ბიოლოგიური სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარება

დღესდღეობით ორგანული სოფლის მეურნეობა 120-ზე მეტ ქვეყანაში ვითარდება.

„ავსტრიაში, შვედეთსა და შვეიცარიაში ბიოლოგიური სოფლის მეურნეობა მთლიანი სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიის 10%-ს შეადგენს, ავსტრიის მთიანეთში კი — 50%. გერმანიაში დაახლოებით 10 000 ბიომეურნეობაა, იტალიაში — 60 000, ავსტრიაში — 20 000. ისეთ ქვეყანაში, როგორცაა ეგვიპტე, 1 000- მდე ადამიანი ბიოდინამიური მეთოდით მიღებულ პროდუქციას აწვდის დაახლოებით 7 000 ფარმაცევტულ და 3 000 ჩვეულებრივ მაღაზიას; უგანდაში ორგანულ ბამბას 7 000 მეურნეობა აწარმოებს, მექსიკაში კი დაახლოებით 10 000 მცირე მეურნეობა — ორგანულ ყავას. ბიოპროდუქციაზე მომხმარებლის მზარდი მოთხოვნილება გამოიკვეთა ისეთ ქვეყნებში, როგორცაა არგენტინა, პოლონეთი, იაპონია, ავსტრალია. ავსტრალიაში 1.7 მლნ. ჰა მიწის ფართობი, რომელზეც ბიოპროდუქციას აწარმოებენ, სერტიფიცირებულია. შვედეთისა და ფინეთის პარლამენტებმა მიიღეს დადგენილება, რომლის თანახმადაც სავარგულების 20% ბიოლოგიურ მეურნეობებს უნდა დაეთმოს“.

[წყარო:[http://www.parliament.ge/files/415\\_941\\_319510\\_Document8.pdf?fbclid=IwAR0fiXW5mQkANTPgo5S90xejQ1JDWIKFhemB2eQpjsKTc30aw6sXJeko2wY](http://www.parliament.ge/files/415_941_319510_Document8.pdf?fbclid=IwAR0fiXW5mQkANTPgo5S90xejQ1JDWIKFhemB2eQpjsKTc30aw6sXJeko2wY)]

ბაზარზე ბიოპროდუქტების აღიარებას პირველ რიგში ადასტურებს ის, რომ ბავშვთა კვების პროდუქტების მწარმოებელი წამყვანი გერმანული კომპანიები, წელსეულს მხოლოდ სერტიფიცირებული ბიომეურნეობებიდან იღებენ.

ბიობაზრის ავტორიტეტული ანალიტიკოსებია ვარაუდით ბიოპროდუქტების ვაჭრობის მოცულობა მომდევნო 10 წლის მანძილზე მკვეთრად გაიზრდება. მიუხედავად, დიდი კონკურენციისა ქართულ ბიოპროდუქტებს შეუძლია მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავოს საერთაშორისო ბაზარზე. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს არ აქვს შესაძლებლობა მსოფლიო პროდუქციის მოცულობით გააკვირვოს, მას შეუძლია აწარმოოს ხარისხიანი ბიოპროდუქტი. ასევე მნიშვნელოვანი და საინტერესოა ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მრავალფეროვნებაც და აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბიოპროდუქტების სექტორის არჩევა საერთაშორისო ბაზარზე გასასვლელად ყველაზე საიმედო გზაა. ეს სექტორი ერთადერთია სადაც მოთხოვნა ბევრად მეტია ვიდრე მიწოდება.

[წყარო:[http://www.parliament.ge/files/415\\_941\\_319510\\_Document8.pdf?fbclid=IwAR0fiXW5mQkANTPgo5S90xejQ1JDWIKFhemB2eQpjsKTc30aw6sXJeko2wY](http://www.parliament.ge/files/415_941_319510_Document8.pdf?fbclid=IwAR0fiXW5mQkANTPgo5S90xejQ1JDWIKFhemB2eQpjsKTc30aw6sXJeko2wY)]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ რომ, ორგანული სოფლის მეურნეობისათვის სახელმწიფო ხელშეწყობა მეტად მნიშვნელოვანია არამარტო გარემოსა და ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვის, არამედ ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისთვისაც.

## თავი 7 - საქართველოს პერსპექტივები ევროკავშირის ბაზარზე

ევროპის ბაზარს რაც შეეხება, იგი ბიო პროდუქტებზე მოთხოვნა ზრდის ტენდენციით ხასიათდება. ევროპაში ორგანული ბაზარი იზრდება, 2017 წელს ეს თითქმის 11 პროცენტით გაიზარდა და 37.3 მილიარდ ევროს მიაღწია.

საკვები უმნიშვნელოვანესი პროდუქტია ქვეყანაში და საკვები პროდუქტებით თვითუზრუნველყოფა უსაფრთხოების ერთ-ერთი მთავარი და მნიშვნელოვანი ნაწილია. მსოფლიოში ფუფუნებად არის აღიარებული, საკვები პროდუქტები, რომლებსაც აქვთ წარწერა „ორგანული“, „ბიო“ და „ეკოლოგიურად სუფთა“, ისინი განთავსებულია ან დიდ სუპერმარკეტებში და გამოყოფილი აქვთ სპეციალური სივრცე, ან არსებობს სპეციალური მაღაზიები სადაც მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტები იყიდება და მათი ფასი ჩვეულებრივ საკვებთან შედარებით უფრო ძვირია.

იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის ექსპორტს ახორციელებენ, საქართველოცაა, თუმცა საექსპორტო საქონელის რაოდენობა ჯერჯერობით ძალიან მცირეა.


დიაგრამა №7-ზე(იხ.დანართი N1) მოცემულია ინფორმაცია ორგანული პროდუქტის ექსპორტის შესახებ წლების მიხედვით. საიდანაც შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბიოპროდუქტების ექსპორტი ზრდის ტენდენციით ხასიათდება.

ქართული ბიო პროდუქტების რეალიზაციის მოცულობა ევროპაში 2016 წელს 75%-ით გაიზარდა და 405 ტონა შეადგინა, ხოლო ევროკავშირის ქვეყნებში ორგანული პროდუქტების საცალო გაყიდვების წლიური მაჩვენებელი 12,6%-ით გაიზარდა.

[წყარო:<http://eugeorgia.info/ka/article/608/evrokavshiri---sididit-meore-bio-bazari-msoflioshi/>]

დიაგრამა №8-ზე მოცემულია მონაცემები, ეკო პროდუქტების რეალიზაციის მიხედვით, საიდანაც შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბიოპროდუქტების რეალიზაციის მიხედვით გერმანია ლიდერობს.

დიაგრამა №8



[წყარო:<https://statistics.fibl.org/europe/retail-sales-europe.html>]

ორგანული მეურნეობა არის უმნიშვნელოვანესი მოდელი, რომელიც დიდ გავლენას ახდენს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სისტემის შეცვლაზე, ექსპერტები მოგვინოდებენ მხარი დავეჭიროთ თანმიმდევრულ პოლიტიკას,

რაც უზრუნველყოფს მდგრადი კვების სისტემების გამართვას, რაც მისაღები და აუცილებელია 21-ე საუკუნეში. გაეროს სასურსათო და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია FAO-მ რამდენიმე ხნის წინ აღიარა აგროეკოლოგიური სისტემების როლი, არსებული კვების სისტემის უზარმაზარი გამოწვევების მოგვარებაში. მაგალითად, გერმანიის, ავსტრიის, ინდოეთის და ყირგიზეთის მთავრობები ახორციელებენ ისეთ პოლიტიკას და სამოქმედო გეგმებს, რომლებიც ხელს უწყობენ ორგანულ მეურნეობის განვითარებას.

„გლობალური ორგანული წარმოებაში, დაახლოებით 70 მილიონი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწა ბიოა. 2017 წელი მსოფლიო მასშტაბით ორგანული მეურნეობისთვის კიდევ ერთი რეკორდული წელი იყო. მსოფლიოში არსებული ორგანული სოფლის მეურნეობის შესახებ FABL- ის უახლესი შესწავლის თანახმად, ორგანული მეურნეობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, ხოლო ორგანული პროდუქტების მწარმოებელთა და საცალო გაყიდვების რაოდენობამ განაგრძო ზრდის კიდევ ერთი ისტორიული ჩანაწერი, 181 ქვეყანა (მონაცემები 2017 წლის ბოლოსთვის). FiBL- ისა და IFOAM-Organics International-ის მიერ გამოქვეყნებული კვლევის "ორგანული სოფლის მეურნეობის სამყაროში" მეოცე-გამოცემა გვიჩვენებს, ბოლო წლებში დაფიქსირებულ პოზიტიურ ტენდენციას. მსოფლიო ბიომრავალფეროვნების შესახებ წლიური ანგარიში მხარს უჭერს შვეიცარიის ეკონომიკურ საქმეთა სახელმწიფო სამდივნოს (SECO), საერთაშორისო სავაჭრო ცენტრს (ITC), შვეიცარიის მდგრადი განვითარების ფონდსა და NürnbergMesse-ს.“

[წყარო:<https://www.bioecoactual.com/2019/02/18/laproduccion-ecologica-mundial-maximo-historico/>]

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ქიმიურად დამუშავებული პროდუქციით ჩვენ ვეროპის

ბაზარზე ადგილს ვერ მოვიპოვებთ, მხოლოდ ბიოპროდუქტებით არის შესაძლებელი, რომ ევროპაში ჩვენი ნიშა დავიკავოთ. ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესო მიმართულებაა ტრადიციული, ქვევრის ღვინის წარმოება. ევროპაში ასევე ძალიან მოთხოვნადია კენკროვანი კულტურები, როგორცაა - უოლო, მოცვი, მაცვალი. ასევე მოთხოვნადია და დიდ ინტერესს იწვევს ჩაი - როგორც ჩაის ფოთლისაგან, ასევე სხვადასხვა ყვავილისგან დამზადებული. არანაკლებ პერსპექტიული მიმართულებაა ხილის წვენების წარმოებაც. თუ ეს პროდუქტები ნატურალური იქნება, ევროპაში მათი ფასი საკმაოდ მაღალი იქნება.

## თავი 8 - ფინანსური ანალიზი, ბიო და ტრადიციული ღვინის მაგალითზე

ბიო პროდუქტების წარმოების აქტუალობა და უპირატესობებზე აქცენტირება ყოველდღიურად იზრდება, გამონაკლისი არც ღვინოა. ევროპა არის მსოფლიოში ორგანული (ბიო) ღვინის ყველაზე მსხვილი მწარმოებელი, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ მესამე ქვეყნებისთვის ბაზარი დაკეტილია, ბიო პროდუქციაზე გაზრდილ მოთხოვნას ადგილობრივი წარმოება ვერ აკმაყოფილებს. საქართველოს, როგორც ღვინის სამშობლოსა და ჯიშური მრავალფეროვანებით, ასევე ქვევრის ღვინის უნიკალურობით გამორჩეულ ქვეყანას აქვს პერსპექტივა თავი დაიმკვიდროს ევროპის ბაზარზე. ბიომეღვინეები საქართველოში ჯერ-ჯერობით მცირე რაოდენობით არიან, მათი უმეტესობა საკუთარ პროდუქციას მთლიანად ევროპის ბაზარზე ყიდის. მზარდი მოთხოვნა არსებული პროდუქციით ვერ კმაყოფილდება, შესაბამისად დარგის



განვითარებისა და ეკონომიკისათვის მნიშვნელოვანია ამ მიმართულების ხელშეწყობა.

იმ მცირე მეწარმეებს შორის რომელიც აქცენტირებას ბიო ღვინის წარმოებაზე აკეთებს, არის მარანი „სევსამორა“. მათ საქმიანობა სულ რამდენიმე წლის წინ დაიწყო და პრიორიტეტად განსაზღვრეს ბიო მევენახეობა და ბიო ღვინის წარმოება. 8 ჰექტარზე გაშენებული ვენახიდან მოსავალს ჯერ მხოლოდ 2 ჰა აძლევთ, საიდანაც 8 ტონა მოსავალს იღებენ. შესაბამისად, მათი წარმოება არის მცირე - დაახლოებით 5,000 ბოთლი. ერთი ბოთლი (0,75მლ) ბიო ღვინის თვითღირებულება საშუალოდ 22 ლარია.

ბიო ვენახის მოვლა 1 ჰა ჯდება დაახლოებით 11,000 ლარი, მოსავალი - 7 ტონა (სრული მსხმოიარობის შემთხვევაში), ხოლო ტრადიციული მეთოდით 8,000-9,000 ლარი, მოსავალი - 10 ტონა. მარნის ბიო ვენახმა წელს მიიღო ბიოსერთიფიკატი, უმაღლესი შეფასებით.

კომპანიიდან მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით, კონკრეტულად რამდენიმე სახეობის ღვინის მაგალითზე წარმოგიდგინთ ბიო და ტრადიციული ღვინის წარმოების შედეგებს და მათ შედარებით ანალიზს. (იქიდან გამომდინარე, რომ მარანი ახალია ღვინის ბაზარზე, წინა წლის მონაცემებზე დაყრდნობით წარმოგიდგინთ 2019 წლის საპროგნოზო მაჩვენებელს)

ბიო ღვინო - საპროგნოზო წელი 2019

ცხრილი №1

ერთეულ ლარებში

დასახელება	რაოდენობა (ლიტრი)	ერთი ლიტრის თვითღირ ებულება	ბოთლის რაოდენ ობა	ბოთლის საშუალო ღირებუ ლება	ერთი ბოთლის თვითღირ ებულება (0.75)	ერთი ბოთლის გასაყიდი ფასი	შემოსავა ლი	ხარჯი	მოგება დღგ-ს გარეშე
ქისი, ხიხვი	1,440	26	1,920	0.76	20	33	63,500	38,453	21,227
ჩინური	1,873	27	2,498	0.91	21	35	88,090	53,132	29,625
გორული მწვანე	477	31	637	0.88	24	37	23,811	15,390	7,136
<b>ჯამი</b>	<b>3,790</b>		<b>5,055</b>				<b>175,401</b>	<b>106,975</b>	<b>57,988</b>

ტრადიციული ღვინო-საპროცენობო წელი 2019

ცხრილი №2

ერთეულ ლარებში

დასახელება	რაოდენობა (ლიტრი)	ერთი ლიტრის თვითღირებულება	ბოთლის რაოდენობა	ბოთლის ღირებულება	ერთი ბოთლის თვითღირებულება (0.75)	ერთი ბოთლის გასაყიდი ფასი	შემოსავალი	ხარჯი	მოგება დღგ-ს გარეშე
საფერავი	4,034	24	5,378	0.63	18	26	138,885	96,212	36,163
რქანითელი	2,650	19	3,533	0.70	14	21	72,749	49,780	19,465
თავკვერი	314	22	418	0.80	16	24	9,964	6,822	2,663
ქისი	1,286	22	1,714	0.88	17	24	41,482	28,298	11,172
<b>ჯამი</b>	<b>8,282</b>		<b>11,043</b>				<b>263,079</b>	<b>181,112</b>	<b>69,464</b>

ყოველივე ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავსკვნათ, რომ ბიო ღვინის წარმოება ბევრად უფრო მომგებიანი ვიდრე ტრადიციული მეთოდით ღვინის წარმოება. წარმოგიდგენთ შედარების ცხრილს (ცხრილი N3), სადაც გარკვევით ჩანს სხვაობა ბიო ღვინის გაყიდვებით მიღებულ შემოსავალსა და ტრადიციული მეთოდით წარმოებული ღვინის გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავალს შორის. ერთი ბოთლი (0,75ლ.) ბიო ღვინის სავარაუდო თვითღირებულება საშუალოდ არის 22 ლარი და მისი გასაყიდი ფასი მინიმუმ 35 ლარია, დღგ-ს გარეშე მოგება 1 ბოთლზე 11 ლარი, ხოლო რაც შეეხება ტრადიციული მეთოდით წარმოებულ ღვინოს, ერთი ბოთლის (0,75ლ.) სავარაუდო თვითღირებულება საშუალოდ არის 16 ლარი და მისი გასაყიდი ფასი მინიმუმ 24 ლარია, დღგ-ს გარეშე მოგება 1 ბოთლზე 6 ლარი.

გამომდინარე აქედან შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ შემოსავალი ბიოღვინის წარმოებიდან ორჯერ მეტი იქნება ვიდრე ტრადიციული ღვინის წარმოებიდან მიღებული შემოსავალი.

## შედარება -საპროგნოზო წელი 2019

ცხრილი №3

დასახელება	რაოდენობა (ლიტრის) სულ	ერთი ლიტრის თვითღირებულება (საშუალო)	ბოთლის რაოდენობა	ბოთლის ღირებულება (საშუალო)	ერთი ბოთლის თვითღირებულება (საშუალო) (0.75)	ერთი ბოთლის გასაყიდი ფასი	შემოსავალი	ხარჯი	მოგება დღგ-ს გარეშე
ბიოლვინო	0.75	28	1	0.85	22	35	35	22	11
ტრადიციული ლვინო	0.75	22	1	0.75	16	24	24	16	6

მიუხედავად ბიო ლვინის წარმოებაში არსებული პრობლემებისა, რომელიც მოიცავს არასტაბილურ მოსავალს, შენახვის და ტრანსპორტირებისას წარმოქმნილ პრობლემებს (მაგ: მდგრადობა აკლია და ლექს იკეთებს), ბიომევენახეობა და ბიო ლვინის წარმოება საქართველოსთვის პერსპექტიული მიმართულებაა და ანალიზით ჩანს რომ ფინანსურადაც მომგებიანი.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია მონაცემები ქართული ლვინის ექსპორტის შესახებ 2016 წლიდან მოყოლებული 2019 წლის ივლისის ჩათვლით:

ცხრილი №4


წელი	თვე	რაოდენობა (მლნ)	შემოსავალი (მლნ \$)
2016	იანვარი	1.50	3.62
	თებერვალი	3.00	7.13
	მარტი	3.20	7.35
	აპრილი	3.80	8.80
	მაისი	3.60	8.10
	ივნისი	4.70	11.60
	ივლისი	4.10	8.70
	აგვისტო	4.30	9.50
	სექტემბერი	4.20	9.80
	ოქტომბერი	6.00	13.70
	ნოემბერი	5.40	11.40
	დეკემბერი	6.20	14.10

2017	იანვარი	4.30	8.80
	თებერვალი	4.50	11.70
	მარტი	5.30	11.70
	აპრილი	4.30	9.20
	მაისი	6.40	14.10
	ივნისი	6.70	15.00
	ივლისი	6.80	13.80
	აგვისტო	7.00	16.00
	სექტემბერი	7.40	15.70
	ოქტომბერი	8.30	18.60
	ნოემბერი	4.20	18.20
	დეკემბერი	11.50	17.20
2018	იანვარი	5.50	11.40
	თებერვალი	5.30	12.90
	მარტი	6.90	16.17
	აპრილი	7.30	18.73
	მაისი	6.50	16.10
	ივნისი	6.70	15.00
	ივლისი	7.20	17.50
	აგვისტო	7.30	17.70
	სექტემბერი	7.30	16.50
	ოქტომბერი	8.30	20.00
	ნოემბერი	9.70	22.10
	დეკემბერი	8.20	18.90
2019	იანვარი	6.25	15.20
	თებერვალი	5.95	14.80
	მარტი	7.20	17.00
	აპრილი	6.60	16.20
	მაისი	7.60	23.80
	ივნისი	6.90	11.00

პირველი დაკვირვების შესაძლებლობას გვაძლევს დროითი მწკრივების გრაფიკები:


დიაგრამა

№8



დიაგრამა №9

## დინამიკა



ორივე გრაფიკი საკმაოდ კარგად გვიჩვენებს, რომ ქართული ღვინის ექსპორტს ახასიათებს გამოკვეთილი სეზონურობა და, ამავე დროს, აღმავალი ტენდენცია.

აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ მომავალი დინამიკის პროგნოზირებისათვის ყველაზე მიზანშეწონილი იქნება მულტიპლიკატიური დეკომპოზიციის მეთოდის გამოყენება, რომელიც ჩვენ შევისწავლეთ სტატისტიკური ანალიზის კურსში და რომლისთვისაც ვიყენებთ QM for Windows პროგრამას.

### პირველი გამოყენება

პირველ ეტაპზე გამოვიყენებ 2016 – 2018 წლის მონაცემებს და გავაკეთებ პროგნოზს. იმის გამო, რომ 2019 წლის პირველი თვეების მონაცემები გვაქვს, ჩვენ შეგვიძლია შევადაროთ პროგნოზირებული მონაცემები რეალურს და დავასკვნათ, რამდენად კარგად არის გაკეთებული პროგნოზები.

რაოდენობისათვის გაკეთებული პროგნოზები მოცემულია ქვემოთ ცხრილში:

ცხრილი №5

	Value	Future Period	Seasonal Index	Forecast
Error Measures		37	.804	6.724
Bias (Mean Error)	-.038	38	.789	6.708
MAD (Mean Absolute Deviation)	.781	39	.955	8.246
MSE (Mean Squared Error)	1.169	40	.883	7.734
Standard Error	1.383	41	.983	8.745
MAPE (Mean Absolute Percent Error)	13.972%	42	1.0	9.035
<b>Regression line (unadjusted forecast)</b>		43	1.006	9.223
Demand(y) = 3.428		44	1.018	9.467
+ .133 * time		45	1.014	9.561
<b>Statistics</b>		46	1.244	11.901
Correlation coefficient	.851	47	.858	8.322
Coefficient of determination (r <sup>2</sup> )	.725	48	1.44	14.159

შედარებისათვის დაუაკვირდეთ შემდეგ ცხრილს:

ცხრილი №6

თვე	რაოდენობა (მლნ)	პროგნოზი	სხვაობა
იანვარი	6.25	6.724	0.474
თებერვალი	5.95	6.708	0.758
მარტი	7.20	8.246	1.046
აპრილი	6.60	7.734	1.134
მაისი	7.60	8.745	1.145
ივნისი	6.90	9.035	2.135

სხვაობა თითქმის ყველგან (გარდა ივნისისა) საკმაოდ მცირეა. მოდელისათვის დამახასიათებელი აგრეთვე ის, რომ საშუალო პროცენტული გადახრა არის დაახლოებით 14%. ეს არ არის დიდი, მაგრამ არც მცირეა.



შემოსავლებისათვის გაკეთებული პროგნოზები მოცემულია ქვემოთ ცხრილში:

ცხრილი №7

	Value	Future Period	Seasonal Index	Forecast
Error Measures		37	.733	14.191
Bias (Mean Error)	-.008	38	.879	17.287
MAD (Mean Absolute Deviation)	1.218	39	.957	19.129
MSE (Mean Squared Error)	2.274	40	.921	18.71
Standard Error	1.929	41	1.002	20.664
MAPE (Mean Absolute Percent Error)	9.967%	42	.979	20.512
<b>Regression line (unadjusted forecast)</b>		43	.932	19.81
Demand(y) = 3.428		44	1.024	22.102
+ .133 * time		45	1.003	21.957
<b>Statistics</b>		46	1.251	27.798
Correlation coefficient	.936	47	1.099	24.77
Coefficient of determination (r <sup>2</sup> )	.876	48	1.166	26.638

შედარებისათვის დავაკვირდეთ შემდეგ ცხრილს:

ცხრილი №8

თვე	შემოსავალი (მლნ \$)	პროგნოზი	სხვაობა
იანვარი	15.20	14.191	-1.009
თებერვალი	14.80	17.287	2.487
მარტი	17.00	19.129	2.129
აპრილი	16.20	18.71	2.51
მაისი	23.80	20.664	-3.136


ივნისი	11.00	20.512	9.512
--------	-------	--------	-------

სხვაობა თითქმის ყველგან (გარდა ივნისისა) საკმაოდ მცირეა. მოდელისათვის დამახასიათებელი აგრეთვე ის, რომ საშუალო პროცენტული გადახრა არის დაახლოებით 10%, რაც საკმაოდ მცირეა.

მომავალი წლების პროგნოზი აღმავალია და გამომდინარე აქედან შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ბიო ღვინის წარმოების გაზრდის შემთხვევაში შემოსავლები მინიმუმ 1/4 ით გაიზრდება.

დიაგრამა №10-ში წარმოდგენილი 2016-2019 წლების ქართული ღვინის ექსპორტის მონაცემები.

დიაგრამა №10



## დასკვნა

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მცირე ქვეყნებს და მათ შორის საქართველოს განსაკუთრებული შესაძლებლობა აქვთ ბიომეურნეობების განვითარებისა და კონკურენტუნარიანი პოზიციების დაკავებისა, მიუხედავად იმისა რომ, საქართველოს არ აქვს შესაძლებლობა კონკურენცია გაუწიოს, მაგალითად, ჩინეთს – ბრინჯის წარმოებაში, უკრაინას, რუსეთს ან ამერიკას ხორბლის და სიმინდის წარმოებაში, პოლონეთს – ვაშლის წარმოებაში და ა.შ. რადგან ამ ქვეყნებს დიდი მასშტაბები აძლევს საშუალებას, პროდუქციის თვითღირებულება შეამცირონ მინიმუმამდე. თუმცა საქართველოს, მისი იშვიათი ბუნებრივი რესურსებიდან გამომდინარე, აქვს ძალიან დიდი პერსპექტივა, რომ გახდეს ბიოპროდუქტების რეალური მწარმოებელი ქვეყანა და ასევე, კონკურენტუნარიანი ექსპორტიორი ევროკავშირის ქვეყნებისთვის.

ბევრმა ქვეყანამ, სწორად განხორციელებული სახელმწიფო პოლიტიკის შედეგად, მნიშვნელოვნად განავითარეს ბიოპროდუქციის წარმოება, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, საქართველოში ბიომეურნეობების სისტემური განვითარების კუთხით სახელმწიფოს მხრიდან ბევრი არ გაკეთებულა, შეიქმნა კანონი “ბიოლოგიური აგროწარმოების შესახებ”, დარეგულირდა ბიოპროდუქციის წარმოებასთან დაკავშირებული პროცესები. რაც შეეხება დარგის განვითარების ხელშეწყობას, სახელმწიფოს როლი მინიმალურია თუმცა, დაწყება არასოდეს არის გვიანი და სახელმწიფომ ახლა მაინც უნდა ჩამოაყალიბოს და გაათვითცნობიეროს რამდენად პრიორიტეტულია ქვეყნისთვის ბიომეურნეობების განვითარება და იმოქმედოს შესაბამისად.

ბიო პროდუქტებით ვაჭრობის განხორციელება არ იწყება ფერმერების მიერ ორგანული საკვების წარმოებით, ან საქართველოს მთავრობის მიერ, ბიო პროდუქტების წარმოების მოთხოვნით. ორგანული პროდუქციით ვაჭრობა

ინფორმირებული მომხმარებლებით ინყება, რომელთაც სურთ ჯანსაღი პროდუქტების შეძენა, რადგან ის არ ვნებს ჯანმრთელობას და შესაბამისად უსაფრთხოა მათი ოჯახის წევრებისთვის.

თავდაპირველად ინყება კლიენტების მიერ ჯანსაღი საკვების მოთხოვნა, ხოლო ამის შემდგომი ეტაპია ორგანული საკვების წარმოების დანყება ფერმერების მიერ. სახელმწიფო, ბიზნესები და არაკომერციული ადგილობრივი ორგანიზაციები ინყებენ დახმარების განევას. მთავარ დაბრკოლებას საქართველოში დღეს წარმოადგენს ის, რომ ბიოპროდუქტებზე მოთხოვნა დაბალია და შესაბამისად ძალიან ცოტაა იმ მომხმარებელთა რაოდენობა, რომლებიც მზად არიან გადაიხადონ ოდნავ მეტი თანხა მაინც ორგანულ საკვებში.

ამასთან, ასევე შეუძლებელია ვიზუალურად გამოარჩიო ეკოლოგიურად სუფთა საკვები პროდუქტი სხვა პროდუქტისგან და ბიოლოგიურად სუფთაა თუ არა პროდუქტი, ამას მხოლოდ სასერტიფიკაციო ორგანო ადგენს. გამომდინარე აქედან, ფერმერთა მოტივაცია შედარებით მცირეა. ბიონარმოების განვითარებისათვის კი ძალიან მნიშვნელოვანი და აუცილებელია მაღალი ხარისხი, შესაბამისი კვალიფიკაცია და კარგი მოტივაცია ფერმერების მხრიდან.

ხარისხიანი პროდუქცია ნიშნავს ჯანმრთელობას, უხარისხო პროდუქცია კი პირიქით აუარესებს ჯანმრთელობის მდგომარეობას, რაც ნებისმიერ ქვეყანაში დიდ ხარჯებს უკავშირდება. თუ ამა სტრატეგიულად და გლობალურად შევხედავთ, ეს ნიშნავს კაცობრიობის გადარჩენას. არ შეიძლება მიწას მიუდგე აგრესიულად და გულგრილად. ჩვენ ისედაც მცირემიწიანი ქვეყანა ვვაქვს, სადაც თითოეული მტკაველი გასათვალისწინებელია, საქართველოში არის უნიკალური ჰავა, სხვა მეთოდით მცენარეების გაზრდა, უბრალოდ, არც შეიძლება. როცა ქართული სოფლის განვითარებაზე ვსაუბრობთ, ორიენტაცია

უნდა ავიღოთ, ეკოლოგიური პრინციპების განვითარებაზე. საქართველომ მაგალითი უნდა აიღოს მსგავსი ქვეყნების კანონებიდან, რომლებმაც დაინყეს საკვების უსაფრთხოებაზე მუშაობა, მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს მათი გამოცდილება. უნივერსიტეტებმა კი მოამზადონ შესაბამისი კვალიფიკაციის პროფესიონალები, ასევე აუცილებელია თანამშრომლობის გაფართოება მეზობელ ქვეყნებთან, აგრარული წარმოების გასაფრთხილებლად და რეგიონში უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

ამ მიმართულებით, შემუშავდა ქვეყანაში აგრარული პოლიტიკის სტრატეგია, რომლის განხორციელების ფარგლებში დარეგულირდება მინათსარგებლობის საკითხები; სასოფლო-სამეურნეო სექტორი უზრუნველყოფილი იქნება მომსახურებითა და ნედლეულით; მცირე და საშუალო ფერმერები უზრუნველყოფილი იქნებიან ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით; გაიზრდება აგრარულ სექტორში მწარმოებლურობა, რენტაბელურობა და კონკურენტუნარიანობა; გაიზრდება სასოფლო-სამეურნეო წარმოებიდან მიღებული შემოსავლები; ჩამოყალიბდება აგრარული განათლებისა და მეცნიერების, კონსულტირებისა და ექსტენციის თანამედროვე სისტემა; ქართული პროდუქცია დაბრუნდება შიდა ბაზარზე.

საქართველოს მთავრობამ აგროსექტორის განვითარება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად აღიარა. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, საქართველო აუცილებლად შეძლებს დაიმკვიდროს ღირსეული ადგილი საერთაშორისო ბაზარზე. ასევე, რეგიონებში განხორციელდება ბიზნესგარემოს გაჯანსაღება და სტიმულირება; რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობის ცხოვრების პირობები გაუმჯობესდებათ. დაცული იქნება სასურსათო უსაფრთხოება, სურსათის უვნებლობა და აგრობიომრავალფეროვნების შენარჩუნება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის, განხორციელების შედეგად, უახლოეს წლებში, აგროსექტორში შეიქმნება რამდენიმე ათასი სამუშაო ადგილი. გაიზრდება თვითდასაქმებულთა კეთილდღეობა, მათი შემოსავლები საგრძნობლად გაიზრდება და მნიშვნელოვნად გადააჭარბებს საარსებო მინიმუმს და შემცირდება უმუშევრობა სოფლად.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ საქართველო ბიოპროდუქციის წარმოებისთვის პერსპექტიული ქვეყანაა. სხვა ქვეყნების გამოცდილების გაზიარების პირობებში, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბიომეურნეობის განვითარება მიღწევადია და ფაქტია, რომ უმეტეს ქვეყნებში ყოველწლიურად იზრდება ორგანული მიწის ფართობები და ბიოპროდუქტების გაყიდვების მაჩვენებელი, რაც ერთგვარად არის იმის გარანტია, რომ საქართველოც შეიძლება მოხვდეს ამ ქვეყნების რიგებში. ბიონარმოების განვითარებაზე ზრუნვის შემთხვევაში, ჩვენი ქვეყნის ორგანული მიწის ფართობის და ექსპორტის დინამიკაც ზრდადი იქნება.

## რეკომენდაციები

ბიომეურნეობების განვითარება მაშინ იქნება შესაძლებელი თუ გათვალისწინებული იქნება შემდეგი რეკომენდაციები:

1. **კვალიფიკაცია (ცოდნა):** ფერმერებს უნდა ჰქონდეთ ცოდნა და კვალიფიკაცია, იმის შესახებ თუ რას ნიშნავს ბიომეურნეობა, ბიოპროდუქტი. რა პერსპექტივები აქვს ამ დარგს, როგორ უნდა მოხდეს ტრადიციული მეურნეობის ორგანულზე გადაყვანა და ა.შ.

უნდა მოხდეს ფერმერთა გათვითცნობიერებულობის გაზრდა, მოტივაციის ამაღლება, რათა გახდნენ ბიოფერმერები. ბიოფერმერული მეურნეობა ნიშნავს ხარისხს, კარგ ცოდნას და კარგ მოტივაციას ფერმერის მხრიდან. ქართველი ფერმერების უმრავლესობა პროდუქტს ადგილობრივ ბაზარზე უწევს რეალიზაციას. საქართველო კი საკვები პროდუქციის დიდ ნაწილს საზღვარგარეთის ქვეყნებიდან იღებს, როცა არსებობს ადგილობრივი წარმოების გაზრდის ძალიან კარგი პოტენციალი.

2. **მხარდაჭერა:** მოხალისე ფერმერებმა მაქსიმალურად მარტივად და საინტერესოდ უნდა შეძლონ ტრადიციული მეურნეობიდან ორგანულზე გადასვლა, რომელსაც გარკვეული დრო და ფინანსური რესურსები ესაჭიროება. სოფლის მეურნეობის დაზღვევის სისტემა ძალიან სუსტია. თუ სახელმწიფო სერიოზული ქოლგის ფუნქციას შეასრულებს

ბიოპროდუქტის მწარმოებელი ფერმერებისთვის, ეს შექმნის მოტივაციას, რომ ფერმერმა შეინარჩუნოს მიწის ბიოქიმია თავისი ორგანულობით და აწარმოოს ბიო პროდუქტი. ბიომეურნეობა განსაკუთრებული ნიშაა საქართველოსთვის მსოფლიო ეკონომიკის ბაზარზე. მეტი ყურადღება უნდა მიიმართოს დამწყები ფერმერების მიმართ, რათა მაქსიმალური მოსავალი მიიღონ და კონკურენცია გაუწიონ ადგილობრივ ბაზარზე, დემპინგური ფასით შემოსულ პროდუქტს, ამისათვის კი საჭირო იქნება სახელმწიფო დახმარების პროგრამის ამოქმედება. სოფლებს სჭირდებათ ეკონომიკური შესაძლებლობები, იმისათვის რომ, მოსახლეობამ არ დატოვოს სოფლები და არ გადასახლდეს სხვა ქალაქებში და ქვეყნებში. საქართველოს სოფლების დახმარება აუცილებელია, როგორც ეკონომიკურად, ასევე უსაფრთხოების მიზნით, რათა ქვეყანამ შეძლოს საკუთარი მოსახლეობის გამოკვება.

3. **სერთიფიცირება:** ბიომეურნეობის განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია შესაბამისი საკანონმდებლო–ნორმატიული ბაზის არსებობა, რომელიც შესაბამისობაში იქნება ევროსტანდარტებთან. დღეისათვის მოქმედებს საქართველოს კანონი „ბიოლოგიური აგროწარმოების“ განხორციელების შესახებ, რომელიც აწესრიგებს საქართველოში ბიოლოგიური მეურნეობის მონყოლას, ბიოპროდუქციის წარმოებას, რეალიზაციას, მართვას და გადამუშავებას.
4. **რეალიზაცია:** ჩვეულებრივი ფერმერი ვერ დაუკავშირდება უცხოეთში სავარაუდო მყიდველს, ვერ დადებს კონტრაქტს და ვერ მოაგვარებს ექსპორტთან დაკავშირებულ რთულ პროცედურებს. ყველაფერ ამას სერიოზული დახმარება ესაჭიროება.



თუ ზემოაღნიშნულ საკითხებში სახელმწიფო და კერძოდ სოფლის მეურნეობის სამინისტრო დაინახავს მის საგარეულო წვლილს და კონკრეტულ ქმედებებსაც განახორციელებს, ერთ-ერთი პრიორიტეტული დარგის განვითარებას შეუწყობს ხელს.

5. **ფერმერულ მეურნეობებში დასაქმებულთათვის ხელშემწყობი პირობების შექმნა:** ბიომეურნეობაში ისეთი პირობების შექმნა, რომ დასაქმებულებს საშუალება მიეცეთ დაიკმაყოფილონ ძირითადი მოთხოვნილებები, იმუშაონ ჯანსაღ გარემოში, მიიღონ თავიანთი შრომის ადეკვატური ანაზღაურება და შესაბამისად შექმნან მაღალი ხარისხის პროდუქცია;
6. **ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება:** სოციალურად და ეკოლოგიურად გამართლებული წარმოების, გადამამუშავებისა და მომსახურების ერთიანი სისტემის ჩამოყალიბების ხელშემწყობა;
7. **რესურსების გამოყენება:** წარმოებასა და გადამამუშავების სისტემაში განახლებადი რესურსების შეძლებისდაგვარად ფართოდ გამოყენება.
8. **მარკეტინგის განვითარებისთვის ეფექტური საშუალებაა** სარეკლამო სტრატეგიები, ილუსტრაციები, ვიზუალური გამოსახულებები. კვლევებმა აჩვენა, რომ მსგავსი მოქმედებები ზრდის პროდუქციის გაყიდვების რიცხვს.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. სახოკია, ე. (2017) - ევროკავშირი - სიდიდით მეორე ბიო ბაზარი მსოფლიოში.
2. ნოზაძე, თ. (2017) - რატომ უნდა ავირჩიოთ ბიოპროდუქტები?
3. ბერუკაშვილი, ა. (2013) - ბიოპროდუქცია – გამონვევა ქართული ეკონომიკისთვის
4. კარბელაშვილი, ზ. (2018) - რა არის ბიომეურნეობა?
5. გიგუაშვილი, გ. აზმაიფარაშვილი, მ. (2019) - ბიომეურნეობები და მათი როლი აგრობიზნესის განვითარებაში
6. ბექაია, ბ. (2009) - განვითარდება თუ არა ბიომეურნეობა სახელმწიფოს ჩარევის გარეშე.
7. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“ (2017) - ორგანული სოფლის მეურნეობა.
8. Müller, A. (2019) - Organic farming drives sustainability in global agriculture

9. Willer, H. (2019) - European organic market grew to more than 37 billion euros in 2017

ელექტრონული წყაროები:

1. <https://organic-market.info/>  
[მოპოვებულია 28/02/2019]
2. <http://www.moe.gov.ge/ka/home>  
[მოპოვებულია 04/03/2019]
3. <http://www.elkana.org.ge>  
[მოპოვებულია 06/03/2019]
4. <https://statistics.fibl.org/>  
[მოპოვებულია 02/04/2019]
5. [journal homepage: www.elsevier.com/locate/jbusres;](http://www.elsevier.com/locate/jbusres) [Journal of Business Research - The role of imagery in promoting organic food](#)  
[მოპოვებულია 12/06/2019]
6. [www.bioagro.ge](http://www.bioagro.ge)  
[მოპოვებულია 15/03/2019]

7. <http://www.dcfta.gov.ge/ge/dcfta-for-business/internal-market>  
[მოპოვებულია 17/04/2019]
8. <https://www.bioecoactual.com/2019/02/18/laproduccion-ecologica-mundial-maximo-historico/>  
[მოპოვებულია 18/05/2019]
9. <http://www.dcfta.gov.ge/ge/dcfta-for-business/internal-market>  
[მოპოვებულია 22/06/2019]
10. <http://businesspost.ge/geo/page/analytics/900>  
[მოპოვებულია 22/06/2019]
11. [http://bioagro.ge/akhali-ambebi/somkhethshi-gamarthul-saerthashoriso-praqtikul-konpherentsiaze-organikis-shedegianobis-shesakheb.html?fbclid=IwAR1uKQv-U6dmqW1fKSLft5S33LEjBM\\_1FYRomFWORTwqiGtQlv04AYYPoC4](http://bioagro.ge/akhali-ambebi/somkhethshi-gamarthul-saerthashoriso-praqtikul-konpherentsiaze-organikis-shedegianobis-shesakheb.html?fbclid=IwAR1uKQv-U6dmqW1fKSLft5S33LEjBM_1FYRomFWORTwqiGtQlv04AYYPoC4)  
[მოპოვებულია 23/06/2019]
12. <http://bioagro.ge/shop/organika.html>  
[მოპოვებულია 23/05/2019]

დანართი №1

დიაგრამა №2

### Organic retail sales in million euro



[წყარო: <https://www.organic-europe.net/country-info/map-organic-agriculture-europe.html>]


დიაგრამა N4

## Organic retail sales in million euro



[წყარო: <https://www.organic-europe.net/country-info/map-organic-agriculture-europe.html>]

დიაგრამა N7



[წყარო: <http://eugeorgia.info/ka/article/608/evrokavshiri---sididit-meore-bio-bazari-msoflioshi/>]